მეთორმეტე წელი

Douzième année.

საქართველო უწინარეს ყოვლისა

# თეთრი გიორგი

ეროვნული ერთობის დარაზმულობა თეთრი გიორგის ორგანო

პარიზი. 1937 წ. მაისი. 101

JOURNAL DE L'ORGANISATION DES PATRIOTES GEORGIENS «THETHRI GUIORGUI» Paris, Mai 1937. № 101. Rédaction : 160, rue St-Charles.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 26 მაისი.

26 მაისი არის დღე სიხარულის და ბედნიერების. დღე რომელსაც ამ 17-18 წლის წინათ, აღფრთოვანებულის სიამაყით, პირზედ ღიმილით და ვარდების თაიგულებით ხელში, ეგებებოდა ქართველი ხალხი.

და ამასთანავე დღე, როდესაც ეხლა საქართველოში, მთელი ჩვენი ქვეყანა აცრემლებული და გლოვის ძაძებში გახვეული, იგონებს დაკარგულ ბედნიერებას! და ჩვენ აქ უცხო მხარეს ლტოლვილთ, ვით ებრაელთ წყლებზე ბაბილონისა, თვალ წინ გვიდგა დაკარგული სამშობლოს აჩრდილი!

დღევანდელ დღეს უფრო უდიდესი სიმწვავით ვიდრე სხვა დღეებში ყველა ჩვენთაგანი ეკითხება თავს: დავბრუნდები თუ არა სამშობლოს, ვიხილავ კიდევ ტკბილ საქართველოს? დარწმუნებული ვართ ყველა თქვენგანი გადაშლის დღეს ქართულ გაზეთებს, რათა იქ იხილოს პასუხი თავისი გულის ამ მწვავე საკითხზე.

და აი, ჩვენ გვსურს გულწრფელად გიპასუხოთ, გაგიზიაროთ ის, რასაც ვფიქრობთ, რაც გვწამს..

და ჩვენი სიტყვები იქნება სიტყვები იმედის, გამხნევების და სანატრელი მომავლისადმი რწმენის. დიახ ჩვენ ყველა თ. გიორგელებს გვწამს, რომ ახლო მომავალში საქართველო მოიპოვებს თავისუფლებას.

ჩვენ გვწამს ეს ორი უმთავრესი მიზეზის გამო: იმიტომ რომ ჩვენი მოსისხლე მტრის რუსეთის იმპერია ინგრევა. ამ ნგრევის პროცესს ველარავითარი ძალა ვერ შეაჩერებს.

თვით ისეთ იმპერიებმაც კი, რომელთა საფუძველნი უმაღლესი კულტურისა იყო ვერ გაუძლეს ერთხელ დაწყებულ ნგრევის პროცესს. რაც შეეხება რუსეთის იმპერიას რომლის ერთად ერთი საფუძველი იყო და არის მხოლოდ ტლანქი მატერიალური ძალა, ის, რასაკვირველია, უფრო ჩქარის ტემპით მიდის ამ ნგრევის უფსკრულისაკენ.

და აი, ქროვგულ მორობის დაბნელებულ ცის ტატნობზე უკვე მოსჩანს სილუეტები მომავალ თავისუფალ ერებისა, რომელნიც თანდათან უფრო მკაფიოდ იღებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოების სახეს

ამგვარად რუსეთის მიერ დამონებულ ერების დიდ სასაფლაოდან სდგებიან უკრაინა, უკვდავი საქართველო მთლად კავკასია და თურქესტანი.

გვწამს მომავალი თავისუფლება კიდევ იმიტომ, რომ დღეს ქართველები მძლავრად ვართ შეკავშირებულნი ერთ ეროვნულ იდეაში. რუსებმა ტერორის და რეპრესიების საშუალებით სცადეს დაენგრიათ ქართული სული და ეროვნული მთლიანობა, მაგრამ წინააღმდეგს მიაღწიეს. იმ ფაქტმა, რომ ჩრდილოეთის ბარბაროსებმა ქართველი ხალხის ყველა შემადგენელი ელემენტები გაატარეს ერთსა და იმავე ტანჯვის ქარცეცხლში ჩვენი ერი შეაერთა და შეადუღა ერთ ეროვნულ თავდაცვის რაზმად. ვერავითარი ძალა ამ მთლიანობას ველარ დაარღვევს.

ნუ ეგონებათ ჩვენი ქვეყნის მტრებს, რომ თუ დღეს ქართველები დაყოფილნი ვართ სხვა და სხვა, ხშირად ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებულ პოლიტიკურ ჯგუფებად ეს ნიშნავდეს ეროვნულ მთლიანობის დარღვევას! რა ჯგუფებათაც არ უნდა ვიყოფოდეთ. რა სხვა და სხვა პოლიტიკური გზებზე არ ვიდგეთ, ეს გზები ყველა ჩვენ მიერ მხოლოდ ახალ საშუალებათა ძებნანი საბოლოო მიზნის უფრო ჩქარა მისაღწევად. რა სხვა და სხვა გზაზედ არ უნდა ვიდგეთ ჩვენ ყველა ღირსეულ ქართველისათვის «საქართველო უწინარეს ყოვლისა» არის. ყველა ქართველ მამულიშვილისათვის ყოველივე გზა მიდის საქართველოს საზღვრებისაკენ, რუსეთის წინააღმდეგ თავისუფლებისათვის ამართულ დროშის ქვეშ.

ეს დროშა მხოლოდ ეხლა და ჩვენის ხელით არ არის ამართული. ის, ჩრდილოეთის ველურების შემოსევის მეორე დღესვე, ალექსანდრე ბატონიშვილმაააფრიალა..

და ამ რაინდ ბატონიშვილის ჯარის დემობილიზაცია ჯერ არ მომხდარა.

ყველა ისინი, ვინც თავისუფლებისათვის იბრძოდენ ამ 135 წლის განმავლობაში იყვნენ მხოლოდ სხვა და სხვა რაზმები მისი ლაშქრისა. ეს ლაშქარი ამ გრძელ წელთა განმავლობაში ხან დროებით იმარცხებოდა, ხან მარცხდებოდა, ეცემოდა, ხან პატრიოტულ ახალ ცეცხლით ანთებული, და ფლეთილ ბაირაღებით ხელში მიჰქროდა წინ იერიშებზე, ხან გაჟლეტილი და გაფანტული სასოწარკვეთილებას ეძლეოდა მაგრამ მებრძოლ სულს არასოდეს არა ჰკარგავდა.

ამ დიდებულ ისტორიულ ლაშქრის რაზმი რაზმზე აკვდებოდა მტერს....

ასე გმირულად დაიხოცნენ 1802 წელს გუდამაყრელნი, მთიულნი, ფშავნი; 1804 წელს იგივე მთიულნი, ფშავნი, ხევსურნი იბრძვიან და იხოცებიან! 1812 წელს მთელი კახეთი თავადი თუ გლეხი თელავის ციტადელზეააფრიალებს გამარჯვების და თავისუფლების დროშას, მაგრამ საბოლოოდ მათაც სისხლის მორევში ახრჩობენ! 1813 წელს ქართლ კახეთის, ხევსურეთის და დაღესტნის საუკეთესო გმირნი ბატონიშვილ ალექსანდრეს უდგებიან გვერდში, იბრძვიან და იხოცებიან.

1819-20 წლებში იმერეთი წულუკიძეების და აბაშიძეების მეთაურობით. სამეგრელო გიორგი დადიანის ხელმძღვანელობით, შემოქმედის ციხის კოშკებზე მედგრად მებრძოლნი გურულები და აჭარლები; მსოფლიო ომის დროს ქართული ლეგიონი თავისუფლების დროშით ხელში გმირულად მებრძოლი ლაზისტანის და აჭარის მთებში; ჩოლოყაშვილის თავგანწირული რაზმი; და მთელი ქართველი ახალგაზრდობა მომავალ სანატრელ ბრძოლისათვის გამზადებული — ყველა ესენი იმავე ბატონიშვილ ალექსანდრეს რაზმები არიან. ნუ შევდრკებით გულით. ახლოა წამი როცა მისი დიდებული აჩრდილი მოგვიხმობს ხელახლა ბრძოლის ველზედ და წინ გაგვიძღვება. და ჩვენ გვწამს ღრმად, რომ როგორც 1802 წლის მებრძოლნი მთიულები შეადგენდენ მის მოწინავე რაზმს და თავისი პირველი იერიშით გახსნეს ასი წლის ომი, ისე დღევანდელი პატრიოტი მებრძოლნი შეადგენენ მის ბრძოლის ბედის გადამწყვეტ, უკანასკნელ რეზერვს, უკანასკნელ იერიშის ტალღას და ჩვენ გამარჯვებით დავაგვირგვინებთ მთელი საუკუნის თავგანწირულ სულისკვეთებას!

და როდესაც 26 მაისის სიმბოლიურ დღეს ჩვენ —თეთრი გიორგელები— სასოებით ვფიქრობთ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ჩვენ მას უერთებთ და უკავშირებთ ალექსანდრე ბატონიშვილის ისტორიულ ლაშქარს, ჩვენ ის მიგვაჩნია ამ ლაშქრის ღვაწლის თავგანწირვის და დაღვრილ სისხლის შედეგად.

## მეფე ვახტანგ VI

(გარდაცვალებიდან ორასი წლის თავის აღსანიშნავად)

წარსულ აპრილს შესრულდა მეფე ვახტანგ VI გარდაცვალების ორასი წლის თავი. იმდენად ფართოა ჩვენი სახელოვანი მეფის მოღვაწეობა, დიდი მისი ეროვნული შემოქმედება, რომ მისი დაახლოებითი შეფასება საჭიროებს მთელ რიგ მეცნიერთა მიერ აკადემიურ შრომას. ჩვენ კი შეგვიძლიან მხოლოდ, და ისიც დიდი ბოდიშით და მოწიწებით, მხოლოდ მის მთავარ შემოქმედებათა უბრალო აღნიშვნა. ვახტანგ მეექვსემ დაარსა ქართული სტამბა; დასწერა ქართული კოდექსი; გამოსცა ვეფხის ტყაოსანი და სისტემატიურად აკინძა «ქართლის ცხოვრების» საბუთი, რომელთა საბოლოვოო შესწორება და გამოცემა მისმა შვილმა განახორციელა.

ვახტანგ მეექვსე ეკუთვნოდა მუხრანის ბაგრატიონთა ბრწყინვალე შტოს, რომელთა მეფობა დაიწყო მისი პაპის ვახტანგ მეხუთითგან და რომელმაც საქართველოს მისცა უდიდესი მებრძოლნი, სახელმწიფო კაცნი, მწერალნი და მეცნიერნი და რომელთა შორის ჩაუქრობელ ვარსკლავად ბრწყინავს ქეთევან წამებული და უნათებს ჩვენს ხალხს მის რთულ, ტანჯულ და მასთანავე სახელოვან ცხოვრებას. ვახტანგ მეექვსე იყო შვილის შვილი ვახტანგ მეხუთისა; შვილი ლევან ბატონიშვილისა, რომელიც დიდხანს იმყოფებოდა სპარსეთის იმპერიის მთავარ მსაჯულად. იგი იყო ძის წული მეფე გიორგი მეთერთმეტისა, რომლის ბრწყინვალე სამხედრო საქმეებმა განცვიფრებაში მოიყვანეს მსოფლიო და რომლის შესახებ მთელი თხზულებებია დაწერილი ინგლისურ, ფრანგულ და სპარსულ ენებზედ. მეფე გიორგი მეთერთმეტე იყო ქირმანის გამგე, მაზანდარანის პატრონი; სპარსეთის ბეგლარ-ბეგი და სპარსეთის შაჰის ნაცვალი ავღანისტანს, რომელს განაგებდა სუვერენული ძალითა და რომელიც სრულ მორჩილებაში მოიყვანა, ალაგმა რა ინდოეთის დიდი იმპერია მოღოლისა. ვახტანგის უფროსი ძმა იყო ჩვენი სახელოვანი მგოსანი არჩილი. მისივე ძმა იყო აგრეთვე სპარსეთის ცნობილი დიქტატორი ხოსრო მეფე, რომელიც სახელოვანი სიკვდილით მოიკლა ავღანისტანს. ვახტანგ მეექვსე იყო მამა ჩვენი ბრწყინვალე ისტორიკოსი და გეოგრაფის ვახუშტ ბატონიშვილისა და პაპა მეფე ირაკლი დიდისა.

ვახტანგ მეფის შემოქმედებამ საქართველოს ცხოვრების წარუშლელი კვალი დააჩნია. მუხრანის ბაგრატიონთა მეფობის დროს და მათი მეოხებით საქართველოში განხორციელდა დიდი გონებრივ-სულიერი აღორძინება— ქართული ჰუმანიზმი—რომელიც დიდი ილიას ეროვნული შემოქმედების მთავარ დამაყრდომელ წერტილად უნდა ჩაითვალოს.

ვახტანგ მეფის ჩამომავალთ ჯერ უკანასკნელი სიტყვა არ უთქვავთ....... და თქვენ, ჩემო ძვირფასნო თანამებრძოლნო ხევსურნო, ამ ბრწყინვალე წარსულის და სახელოვან წინაპართა მოგონების წამს გიპასუხებთ თქვენს ერთ მწვავე და მნიშვნელოვან საკითხზედ. რომელმაც ორი სიტყვით გადაშალა დიდი პრობლემა ჩვენი ქვეყნისა და რომელიც მე თქვენ დამისვით სომეხ-საქართველოს ომის დროს: ნუ თუ ჩვენ მეფეებს ჩამომავალნი აღარ დარჩათ, რომ საქართველოს ვიღაც ყორღანიები განაგებენ-ო?

როგორ არა, მთის არწივნო, დარჩათ, დიახ დარჩათ! ისტორიის კორიანტელმა ვერც საქართველოს ეროვნული პიროვნება ალგავა და ვერც ისინი, ვინც ეს პიროვნება დაიცვეს და განამტკიცეს თავისი სისხლით, სიგმირით

დიდებულო მეფევ! მუხლს ვიყრი და ქედს ვიხრი შენს წინაშე ყველა მათი სახელით ვინც ჩემთან ერთად და ჩემის ბელადობით ცდილობს მისდიოს შენს დიდებულ კვალს და იყოს თავდაბალი და ღირსეული მხედარი შენი სახელოვანი ეროვნული ლაშქარი.

თეთრი გიორგის მთავარ მდივანი:

**ლეო კერესელიძე.**

## ეკონომიური დამოუკიდებლობისთვის

თეთრი გიორგის მებრძოლი ინტეგრალური ნაციონალიზმი, მით არის სრულყოფილი, რომ მასში გამოკვეთილი სიხავსით არის მოცემული მომავალი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის რიალი ფუძეები. ჩვენ გვწამს, რომ ქართველი ერის პოლიტიკური ძლიერება განუწყვეტლად და მთლიანად გადაჯაჭვულია მის ეკონომიურ ძლიერებასთან; რომ საქართველო პოლიტიკურად დამოუკიდებელი, უნდა იყვეს დამოუკიდებელი ეკონომიურადაც; რომ ეკონომიურად ღარიბ და დაბეჩავებულ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა მუდამ იქნება მოჩვენებითი, ფხვიერი, მოკლებული ყოველგვარ გამძლეობას და გარდაიქცევა სათამაშო ბურთად ძლიერ სახელმწიფოთა ხელში. [illegible] მაც ჩვენ ერთნაირის გაალმასებული ნებისყოფით მივისწრაფით საქართველოს როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიური აღდგომისაკენ. ამით ჩვენ ვდგებით ყველა იმ დიდ თუ პატარა ერთა საერთო ფერხულში, რომელნიც ეროვნული თვითშეგნებით აბჯარასხმულნი და გათვითცნობიერებულნი მიისწრაფიან თვით გახდენ საკუთარი ბედის მჭედელი.

### ეკონომიური ნაციონალიზმი.

ყოველი ერის ზრუნვა პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბუნებრივად მოითხოვს საკუთარი საშუალებებით და შესაძლებლობით ცხოვრებას ე. ი. ეკონომიურ დამოუკიდებლობას. ამიტომაც პოლიტიკური ნაციონალიზმის პარალელურად მუდამ ვითარდებოდა ეკონომიური ნაციონალიზმი. ისინი ორივე, ერთი მიზნისაკენ, ერის ჭეშმარიტი სუვერენობისაკენ, ხელიხელჩაკიდებულნი მიეშურებიან და ეროვნულ ინტერესთა მიმოქცევის ცენტრში ერთმანეთს ემთხვევიან. ასეთი ორმაგი, სრულიად ბუნებრივი ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ ერთა ცხოვრებაში არა ახალი, ძველია. — მოვიგონოთ რამოდენიმე ისტორიული დამახასიათებელი ფაქტები:

1. ლუდოვიკ მე 14-ეს დროს, საფრანგეთის პოლიტიკური ძლიერების და ნაციონალური იდეების გამოღვიძებასთან დაკავშირებულია მინისტრი კოლბერის ცდა, შინაური მრეწველობის განვითარების და მით უცხოეთის ეკონომიურ გავლენისაგან თავის დახსნის. განსაკუთრებით კი ნაპოლეონის დროს »კონტინენტალურმა ბლოკადა, აიძულა საფრანგეთი სწრაფი ტემპით განევითარებინა მრეწველობა, რათა გამხდარიყო ინგლისის მრეწველობისაგან დამოუკიდებელი. ნაპოლეონის სიტყვებს »ქვეყანა, რომელიც მისდევს ავტომატიურ თავისუფალ ვაჭრობას, სწრაფად გაცამტვერდებაო» დღესაც არ დაუკარგავს თავის მნიშვნელობა.

2. ფრიდრიხ დიდის დროს გერმანიის პოლიტიკურმა გაძლიერებამ მისცა სტიმული ეროვნული მრეწველობის განვითარებას. განსაკუთრებით კი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიის გაერთიანების და ნაციონალისტურ იდეების გაძლიერებასთან პარალელურად აყვავდა ნაციონალური მეურნეობა.

3. შეერთებულ შტატებში 1890 წ. თავდაცვითმა საბაჟო ტარიფებმა დააწესა ამ ქვეყნის ინდუსტრიალურ-კომერციული დამოუკიდებლობა კონტინენტისაგანაც ამერიკელ ხალხში პოლიტიკურ დამოუკიდებლობის იდეის გაძლიერებასთან ერთად მოხდა

4. იტალიის პოლიტიკურ გაერთიანებასთან და ნაციონალური შეგნების ამაღლებასთან თანმიმდევრობით გაძლიერდა მრეწველობაც.

აღნიშნული ფაქტები ცხადყოფენ, რომ ნაციონალური დოქტრინა ერთნაირად მოითხოვს ხელისუფლების ინტერვენციას ყრის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ თავდასხმების მოსაგერებლად. პოლიტიკური და ეკონომიური ნაციონალიზმი ერთნაირი ბუნების მოვლენანი არიან. ისინი ერთად იბადებიან და ერთადვე კვდებიან.

უნივერსალური, კოსმოპოლიტური ეკონომიური თეორიის დამცველნი გუშინ და დღესაც სწორედ ის დიდი და ძლიერი სახელმწიფონი არიან, რომელთაც დაამყარეს მსოფლიოზე თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა. ძლიერი მრეწველობით შეიარაღებულნი ისინი, თავისუფალ მიმოსვლას, საზღვრების გაუქმებას, მსოფლიოს ყველა ქვეყნებში თავისუფლად შესვლა—გამოსვლას იცავენ და ყველაფერს ამას მათი თავისუფალი ბატონობის უზრუნველსაყოფად. ამიტომ როცა ქართველი თავის ქვეყნისათვის კარლია, თავისუფალ ვაჭრობის ლიბერალურ თეორიებს ქადაგებს, ის შეუგნებლად საქართველოს როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიურ დამოუკიდებლობას ღალატობს. მას სურს საქართველო წააგავდეს იმ ავადმყოფს, რომელსაც ტკივილების დროებით დასაამებლად [დროგებს] საწამლავებს უშხაპუნებენ.

### ავტარკია

ინტერნაციონალურ იდეებით მოდუნებულ ეროვნულ თვითშეგნებას დიდმა ომმა უზარმაზარი ბიძგი ჰკრა. წინა საუკუნეების ეკონომიური ინტერნაციონალიზმი ომის შემდეგ ეკონომიურმა ნაციონალიზმა შესცვალა. ინტეგრალური ნაციონალიზმის იდეამ აღმოხეთქა ახალის ძალით და შინაარსით. პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ნაციონალიზმის ქარიშხალი მოედო მსოფლიოს ყველა ცოტათ თუ მეტად განათლებულ ერებს. ფაშიზმის სახელით ცნობილ ამ ნაციონალისტურმა მოძრაობამ კაცობრიობას მისცა სრულიად ახალი შინაარსის და ფორმის ნათლად გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული პოლიტიკურ-ეკონომიურ-სოციალური სისტემა.

ბუნებრივია, რომ პოლიტიკურ ნაციონალიზმის უმწვერვალესად ამაღლებასთან ერთად, ფაშიზმმა მოგვცა ეკონომიური ნაციონალიზმის მაღალხარისხოვანი და მკვრივი განსახიერება ავტარქიაში. ავტარქია ერის ეკონომიურ ავტონომიას, ეკონომიურ დამოუკიდებლობას შეიცავს, რადგან როგორც მუსოლინი ამბობს: „პოლიტიკური ავტონომია. ე. ი. დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის შესაძლებლობა წარმოუდგენელია ეკონომიური ავტონომიის შეფარდებულ შესაძლებლობათა გარეშე. ამიტომაც ყველა ერები სცდილობენ განთავისუფლებას უცხოეთის ეკონომიურ დამოკიდებულებისაგან". ავტარქია, წარსულ საუკუნეებში უკვე კარგათ ცნობილი ეკონომიური ნაციონალიზმის ლოღიკური დასკვნაა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ გულისხმობს ურთიერთობის შეწყვეტას უცხო სახელმწიფოებთან ისევე ეკონომიური დამოკიდებულება, ანუ ავტარქია არ მოითხოვს საგარეო ეკონომიურ დამოკიდებულების სავსებით მოსპობას. ჩვენს ეპოქაში აბსოლიუტური კარჩაკეტილობა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური წარმოუდგენელია. ხოლო რადენად საჭიროა ერის პოლიტიკური სიძლიერე დამყარებული სამხედრო ძალაზე, შინაურ წესრიგზე და ერთობაზე რათა ერი იყვეს თანასწორუფლებიანი თანასწორთა შორის, ისევე აუცილებელია შინაგანი ეკონომიური სიძლიერე სახალხო მეურნეობის აღმავლობაზე დაყრდნობილი. მომავალი საქართველოს ეკონომიური პოლიტიკა უნდა მიიმართებოდეს იმ მაგისტრალური ხაზით, რომელიც გულისხმობს მის რაც შეიძლება სრულს და ფართო ეკონომიურ ავტონომიას, ბუნებრივ სიმდიდრეთა მაქსიმალურად გამოყენებას, რათა შესძლოს საკუთარი საშუალებით აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და თავდაცვის წარმატება ერთის სიტყვით თუნდაც შევიწროებულად მაგრამ მაინც ცხოვრება და არსებობა.

სანამ ეს მიზანი არ იქნება მიღწეული ერის არსებობა უცხო სახელმწიფოთა კაპრიზებზე იქნება დამოკიდებული და ვერავითარი გმირობა ხალხის მას ვერ იხსნის ხიფათისგან. ასეთი ეკონომიური პოლიტიკის სისტემიდან ბუნებრივად გამომდინარეობს სასალხო მეურნეობის კონტროლის და დისციპლინის ქვეშ დაყენება მხოლოდ, და არასოდეს კერძო თაოსნობის მოსპობა.

საქართველოს სინამდვილე.

მეფის რუსეთის პოლიტიკა იყო საქართველო მუდმივ პოლიტიკურ და ეკონომიურ დაბეჩავებულ მდგომარეობაში დარჩენილიყო. ამ მხრივ საბჭოთა კავშირი ბევრათ არ განსხვავდება მეფის რუსეთისაგან. მაშინ, როდესაც ცენტრალურ რუსეთში ინდუსტრიალური მშენებლობა გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ, მასზე იხარჯება ასეული მილიარდები, არავითარ მსხვერპლს, არავითარ ხარჯებს არ ერიდებიან რუსეთის სხვა და სხვა ცენტრებში მრეწველობის, ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით მოსაწყობად, საქართველოში მეთოდიურ ინდუსტრიალურ მშენებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ვიცით მხოლოდ რომ საბჭოთა მთავრობა ხელს უწყობს ქალალი კულტურის ისეთი სასოფლო მეურნეობის წარმოებას, რომელთა პროდუქცია რუსეთის ბაზარს ესაჭიროება. ამრიგად პოლიტიკურად, მოსკოვის მიერ დამონებული, საქართველო იმყოფება ამავე დროს მის ეკონომიურ ტყვეობაშიც. წითელი რუსეთის პოლიტიკა მიმართულია შექმნას მოსკოვის დომინაციით საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური ერთეული.

როგორც პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოება დაკავშირებულია დიდ მსხვერპლთან და გაჭირვებასთან, რომელსაც იქ ქართველი ხალხი და აქ ემიგრაცია განიცდის, ისევე ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევა დიდ ტკივილებთან და შევიწროებასთან არის გადაბმული. მაგრამ როცა დაჰკრავს რუსეთის დანგრევის და საქართველოს განთავისუფლების წუთი, როცა ქართული ფაშისტური მოძრაობა ჩვენი ეროვნული ცხოვრების აზვირთებულ ზედაპირს მოსწმედს ბოლშევიზმ-მენშევიზის მყრალ ქაფს, მაშინ ფრთაასხმული ქართველი ხალხი გაკაჟებული ნებისყოფით ააგებს საქართველოს ისეთ პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობას, რომლის ნიადაგზე ვით სიპ ქვაზედ ვერავითარი მავნე იდეები ფეხს ვერ მოიკიდებს და რომლის კარიბჭეზე უნუგეშოდ დაიმსხვრევა გარეშე მტრის მოვარდნილი ტალღები.

**დ. კლდიაშვილი.**

## ორიოდე სიტყვა ორიოდე საკითხზედ.

რა იყვნენ მიზეზები სოც. დემოკრატიის გაბატონებისა საქართველოში? მრავალია მიზეზი ამ ეროვნული უბედურობისა. მთავარი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მარქსიზმი მუნივით მოედო მსოფლიოს და საერთო ხვედრს ვერც საქართველო წაუვიდა. ამ ბიბლიურმა მოძღვრებამ ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ძალით მოიკიდა ფეხი. ადვილი ასახსნელია: რამდენადაც მეტადაა დაცემული ხალხი, მეტად მოკლებული ეროვნულ შეგნებას, იმდენად უფრო ადვილი მსხვერპლი ხდება ხოლმე ყოველ ჯურ მავნე მცნებათა, რომელნიც მსოფლიოში ეპიდემიისამებრ პერიოდულად წამოიჭრებიან ხოლმე. რუსეთის ბატონობამ საქართველო დიდათ დააზიანა ნივთიერად, ზნეობრივად და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნების მხრივ. ესეთი ეროვნული გადაგვარების პროცესი მარქსიზმისათვის მართლაც ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდა. ნიადაგს, რომელშიც მან მაგრად გაიდგა ფესვები, შხამიან მცენარედ აღმოცენდა და გამოიღო იმგვარი ნაყოფები, როგორიც გახლავან: კ. გვარჯალაძე, რ. არსენიძე, კ. წერეთელი, გ. ურატაძე, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი და მრავალნი მსგავსნი მათი. ესაა მეორე მიზეზი მარქსისტების გაბატონების ჩვენს ქვეყანაში. ამას დაუმატეთ ის ვერაგული ტაქტიკა რომელს მარქსისტებმა მიმართეს და რომელმაც მათ გამარჯვება დიდათ გაუადვილა.

როდესაც სოც. დემოკრატები მოქმედების ასპარეზზედ გამოვიდნენ საქართველოში მეტად მწვავედ იდგა მიწის საკითხი. მიწას ფლობდა, ფლანგავდა და უცხო ტომის ხალხს უგდებდა ხელში დრო მოჭმული ფეოდალობა. გლეხობა კი, უმიწობით, უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა. ეს ფაქტი ეროვნულ ინტერესებს დიდათ ვნებდა. მიწის საკითხი ეროვნული საკითხი იყო და დამოუკიდებლობის საკითხის შემდეგ ყველაზედ მნიშვნელოვანი.

მაშინდელი ჩვენი პატრიოტები ამას ვერ მიხვდენ. მათი პატრიოტიზმი უფრო ინტელექტუალური იყო ვიდრე რეალური. მათ მაინც უდიდესი ეროვნული საქმე გააკეთეს. მაგრამ მიწის საკითხითგან მათმა ასეთმა გადგომამ ქართველი ხალხი სოც. დემოკრატებს ჩაუგდო ხელში.

მიწის სოციალიზაციის პრინციპის წამოყენებით ფედერალისტებმა დაუშვეს უდიდესი შეცდომა. ამიტომ მათ გლეხები და მუშები არ გაჰყვენ. პარტია დარჩა მასების გარეშე და მოემწყვდა ინტელიგენციის წრეში. რაც ყოველი პოლიტიკური პარტიისათვის მომაკვდინებელია.

ეს მდგომარეობა სოც. დემოკრატებმა დიდის ოსტატობით გამოიყენეს, მათ მოითხოვეს მიწის კერძო საკუთრებათ განაწილება გლეხთა შორის. ეს უპასუხებდა ეროვნულ და გლეხთა სურვილსაც. რასაკვირველია ეს სოც. დემოკრატებმა არც ეროვნული მიზნით ჩაიდინეს და არც გლეხთადმი სიმპატიით. მარქსიზმი არა სცნობს არც ერს, რომელს გაბატონებული კლასების მიერ ხელოვნურად შექმნილ ფაქტორად აცხადებს; არც გლეხობას, რომელთ ბურჟუებს და იდიოტებს უწოდებს; არც კერძო საკუთრებას, რომლის გაუქმება შეადგენს მის მთავარ მიზანს. სოც. დემოკრატიამ ამ ტაქტიკას მხოლოდ იმ მიზნით მიმართეს, რომ ხალხი იემხროთ, მისი წყალობით გაბატონებულიყვენ, რის შემდეგ სულ იოლად მიაჩნდათ თავის იდეალის—კომუნიზმის განხორციელება.

ჩვენ იმ დროინდელ პატრიოტებს არ უნდა მიეცათ სოც. დემოკრატებისთვის ხალხში გასვლის საშუალება. ბურთი და მოედანი არ უნდა დაეთმოთ, როგორც დაუთმეს. საკმარისი არ იყო გაზეთის ფურცლებზედ ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ჩვენ პატრიოტებს უნდა ეწარმოებიათ არა ლეგალური მუშაობა და მასებში ოვით გასულიყვენ. თვით უნდა დაეცვად ქართველი ხალხის რეალური ინტერესები და მეტადრე საჭირო იყო მიწის საკითხის წამოყენება. ეროვნული მიზანშეწონილობით უნდა მისდგომოდენ ჩვენი ხალხის რეალურ ინტერესებს, ეს უკანასკნელნი დამოუკიდებლობის იდეასთან უნდა დაეკავშირებიათ. მხოლოდ ამნაირად შესძლებდენ ხალხის მიმხრობას და მარქსისტებს მოუსპობდენ მუშაობის ნიადაგს. ხალხი მათ გაჰყვებოდა და იბრძოლებდა დამოუკიდებლობისათვის. პატრიოტს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ხალხი არა მხოლოდ ეროვნული დამოუკიდებლობით არსებობს, არამედ ყოველ დღიური შრომითაც და პურითაც; რომ ნაციონალიზმი არის მთლიანი მოვლენა და შეიცავს ყველა სოციალურ და ეკონომიურ პრობლემებს; რათგან ყოველი საკითხი წამოჭრილი ცხოვრების წიაღში ეროვნულია; რომ თუ პატრიოტიზმი ამ პრობლემებს უყურადღებოდ დასტოვებს, მის ალაგს დაიჭერს ანტიეროვნული და ხშირად სრულიად ბანდიტური ორგანიზაცია: მენშევიკების გაბატონება ჩვენში. ეს სინამდვილე დაავიწყდათ ჩვენ მაშინდელ პატრიოტებს; დაავიწყდათ ფედერალისტებს და აგრეთვე ეროვნ. დემოკრატების მუდამ გზა-კავლ აბნეულ ლიდერებს. მათი შეცდომებით ისარგებლეს მარქსისტებმა და გაიმარჯვეს. ხოლო გამარჯვება მათი გახლდათ სინონიმი საქართველოს დამარცხებისა და აკი სასტიკადაც დამარცხდა ჩვენი ქვეყანა.

დავმარცხდით! მენშევიკების გამარჯვებამ ყოველნაირად დააქვეითა საქართველო და დაამთავრა მით, რომ რუსეთს ჩაუგდო ხელში. თავისი გამარჯვებითგან ჩვენი ეროვნული გადაგვარებულების ბელადებს შერჩათ ცარიელი პორთფელები და მინისტრ-ელჩების ხარისხები და ქართველ ერს კი სირცხვილი, დამცირება და მონობა! მაგრამ ძლიერი ეროვნული სხეულისათვის ყოველი სოციალური სენი წარმავალი მოვლენაა. ხოლო საქართველოს ეროვნული სხეულის სიცოცხლის ძალას ამტკიცებს ფაქტი სწორედ იმ პატრიოტთა არსებობისა, რომელთა შესახებ ზემოდ მოვიხსენეთ. მიუხედავად იმისა, რომ პატარა საქართველოს მთელი თავისი ტლანქი სიმძიმით დააწვა ჩრდილოეთის ნადირი, ეროვნული წიაღითგან წამოიჭრენ იმისთანა ბუმბერაზები როგორც იყვენ დიდი ილია და თანამებრძოლნი მისი. მათ მოგვიმზადეს საჭირო ნიადაგი ინტეგრალური ნაციონალიზმის ასაშენელად. მათ დაგვიტოვეს მდიდარი სტატიკა ეროვნული იდეის დასამუშავებლად.

არც ის მინდა ვსთქვა, ფედერალისტების ან ეროვნულ დემოკრატების ღვაწლს უნაყოფოთ ჩავართოს. მე ქედს ვიხრი იმ მსხვერპლის წინაშე, მე უსაყვედურებ მხოლოდ ამ პარტიის ლიდერებს უმთავრესად იმ ფაქტს, რომ ჩამორჩენ ეროვნულ იდეას, რომლის ევოლუციის მოძრაობაში მომყვანი იგინიც იყვენ. მაგრამ ამ გვარი მოვლენანი ცხოვრებაში ნორმალურია. ეს გახლავთ კონფლიქტი წარმავალსა და მომავლის შორის. კონფლიქტი ძველსა და ახალ თაობის შორის. ასეთია ცხოვრების კანონი! იქნებ საჭიროც? მაგრამ ვაი იმ ბელადებს, რომელნიც ახალ ხანას ალღოს ვერ აუღებენ, ვერ გამოიცნობენ მის შინაარს და ერის ახალ საჭიროებებს! იგინი ცოცხლად დაიმარხებიან. შესაძლებელია დაფნის გვირგვინით მაგრამ მაინც დაიმარხებიან! და როცა მე მოუწოდებდი ხოლმე ეროვნულ დემოკრატების ლიდერებს ახალი ეროვნული იდეისაკენ, მე მსურდა იგინი გადამერჩინა იმ სამარითგან რომელშიაც მათ თითქოს განძრახ დაისაფლავეს თავი. მე მსურდა ეს მათდამი გულწრფელი მეგობრობით და იმიტომ, რომ ეს სასარგებლო იქნებოდა ჩვენი ქვეყნისათვის. მათ მე ეს ვერ გამიგეს და უსაფუძვლოდ მლანძღეს და მაგინეს.

როგორც ზემოდაც მოგახსენეთ ქართველი ერის ძლიერმა დინამიკამ დასძლია რუსოფიკაციის საშიშროებაც და მარქსისტული სენიც. ეროვნული წიაღიდან წამოიჭრა «თეთრი გიორგი» თავისი ძლიერე ეროვნული იდეით. უდავო ფაქტია, რომ თ. გიორგიმ შეჰქმნა ინტეგრალური ნაციონალიზმი. საჭიროა ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი სქემატიურად, მას, რასაც ეწოდება თ. გიორგი ანუ ინტეგრალური ნაციონალიზმი.

1. თეთრ გიორგული ნაციონალიზმი კონსერვატორული არაა, არამედ პროგრესიული. ჩვენთვის ისტორია, ეროვნული ტრადიციები დასაყრდომი წერტილია წინ სასვლელად. მკვიდრი ნიადაგი, რომელზედ ფეხს ვიკიდებთ ეროვნული თავისუფლებისათვის და აღორძინებისათვის საბრძოლველად. მკვიდრი საძირკველი საქართველოს მომავლის ასაშენებლად. თ. გიორგი ერის პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციას უნდა მუდამ უგუებდეს ცხოვრების ევოლუციას. უმთავრესად ამითი ხასიათდება თ. გიორგული შემოქმედება. ამიტომ, ჟამთა სრბოლაში, თ. გიორგის დოქტრინა საჭირო ცვლილებებს უნდა განიცდიდეს ხოლმე. ხშირად რადიკალურს. ეს სინამდვილე არ უნდა დაავიწყდეთ მომავალ თ. გიორგელებს. ჩვენმა ეროვნულ დემოკრატებმა თავისი თავიც და პარტიაც დაასამარეს მით, რომ დემოკრატიზმი აღიარეს კაცობრიობის საბოლოო და გარდუვალ ხვედრად. ერის ბელადებმა უნდა იცოდენ დროსთან სიარული და ეროვნული ცხოვრების ახალ ყალიბში ჩაყენება.

2. თ. გიორგიმ სწორედ დასვა ეროვნული ბრძოლის საკითხი. მან დაამტკიცა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის პარტიული ბრძოლა კი არ არსებობს, როგორც ეს ჩვენ პარტიებს ჰგონიათ, არამედ ეროვნული. ამ ბრძოლაში ქართველი ერი და რუსის ხალხია დაპირდაპირებული. რუსეთი ლამობს ჩვენი ტერიტორიის საბოლოო დაპატრონებას და ქართველ ერის გადაგვარებას. საქართველო კი იბრძვის ეროვნული არსებობისათვის. აუცილებელია ქართველ ერმა ეს სინამდვილე მტკიცედ იცოდეს რათა ნაყოფიერად იბრძოლოს.

3. თ. გიორგიმ ქართულ პატრიოტიზმს ინტეგრალური შინაარსი მისცა. მან შეჰქმნა მეცნიერული ნაციონალიზმი. დღეს თ. გიორგის წყალობით არსებობს ქართულ ნაციონალიზმის მთელი სისტემა, სავსებით დამუშავებული თეორია. ამ სისტემის ორბიტში დაირაზმება ქართველი ხალხი და აღორძინდება საქართველო

4. თ. გიორგიმ განყენებული ნაციონალიზმი სცნო საჭიროდ, ხოლო არა საკმარისად. მან აღიარა და დაამუშავა რეალური ნაციონალიზმი დამყარებული ქართველი ხალხის ეთიურ და ნივთიერ ინტერესებზე და მითგან გამომდინარე. იგი შეეხო ეროვნული ცხოვრების ყველა პრობლემებს.

5 თ. გიორგიმ წამოაყენა პრინციპი ეროვნული მთლიანობისა. არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ დაამუშავა პოლიტიკურ ეკონომიური სისტემა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ეს მთლიანობა და რომლის მთავარი დებულებები შემდეგია:

ა. კლასთა სოლიდარული თანამშრომლობა. ამ მიზნისათვის თ. გიორგი იღებს კორპორატიულ სისტემას. დღევანდელი ეკონომიური ცხოვრების პირობებში კლასთა მშვიდობიანი და სოლიდარული თანამშრომლობა შესაძლე-

**შ. ამირეჯიბი**

## რუსთაველისათვის

ბ-ნი ჟორდანია რუსთაველის შესწავლას განაგრძობს და, როგორც იმის ამბავი მოგვეხსენებათ, თავის ადგილზედ აღარაფერს სტოვებს.

დაიწყო წიგნით, რომელიც პირველად 1930 წელს დაბეჭდა. ამ წიგნის გამო ბ-ნი მანველიშვილი სწერდა: «რაც სწორია ჟორდანიას წიგნში ის ძველია და სხვის აზრებს წარმოადგენს, რაც ახალია და საკუთარი მცდარია» მაგრამ წიგნი მაინც რიხიანი გამოვიდა. ბ-ნ ჟორდანიამ თავის თავს გოდიში მოხადა: «საქართველოში დრო არ დამირჩა, რომ ჩემი აზრები საჯაროთ გამომეთქვაო. მაგრამ, დანარჩენებს, ვისაც რუსთაველზედ უფიქრია და უწერია, ყველას ყურებზედ ხახვი დააჭრა. «ვეფხის-ტყაოსანი თავიდგანვე გახდა ჩვენი არქეოლოგების და ისტორიკოსების კვლევა-ძიების მონოპოლიათო, სწერდა მედიდურად ბ-ნი ჟორდანია. მაგრამ ეს არ ვარგა! ეხლა მე დავიწყე რუსთაველზედ წერა და, იმედია, ამას იქით «ვეფხის-ტყაოსნის» დახშული კარები ფართოდ გაეღება ამ პოემის ყველა მოყვარულთ, სხვა და სხვა დარგის მწერლებს და მოღვაწეებს მასზედ ერთიან გადაჭრილი შეხედულობის საერთო ძალღონით გამოსამუშავებლადაო» (იხ. ნ. ჟორდანია. «ვეფხის ტყაოსანი, პარიზი, 1930.)

ამ რიგად ბ. ჟორდანიამ რუსთაველოლოგიაში ახალი დროშა გაშალა: ძირს «არქეოლოგები და ისტორიკოსები!» გაუმარჯოს «სხვა და სხვა დარგის მწერლებს და მოღვაწეებს»ო. რა დარგის «მწერლებს» მოუწოდებს ბ. ჟორდანია და რა დარგის «მოღვაწეებს» — ნათქვამი არ არის, მაგრამ ყველა მიხვდება, რომ ჩვენი არქეოლოგები და ისტორიკოსები აღარც «მწერლები» ყოფილან, აღარც «მოღვაწენი».

ასე შესდგა ფეხი ბ. ჟორდანიამ რუსთველოლოგიაში და წინასწარ უნდა გვცოდნოდა რითაც გაათავებდა თავის კვლევა-ძიებას. აი ამას ეხება ეს ჩემი წერილიც.

თავის ახალ წერილებში «ვეფხის ტყაოსანზედ», (იხ. «დამოუკიდებელი საქართველო» N 132-133) ბ. ჟორდანია რუსთაველის ვინაობის საკითხს იხილავს. ეს დიდი საკითხია. რადგანაც პოემა დაგვრჩა და ავტორის ვინაობის ამბავი კი არა, შეიძლება ითქვას, რომ რუსთველოლოგიის უდიდეს საკითხთაგანი, პოეტის ეს ვინაობის საკითხია.

შოთა რუსთველი, ქართველი ერის გენიის ვინაობა, თავისთავად არის დიდი ქართული პრობლემა. «ვეფხის ტყაოსანი» რომ ხალხური თქმულება იყვეს, ან ქართულად გალექსილი «მოარული ამბავი» — ეს საკითხი არც დადგებოდა. მაგრამ «ვეფხის ტყაოსანი», როგორც პოემა ქართული ჭკუის ნაწარმოებია. ის შექმნა ერთმა კაცმა. მთავარია არა პოემის გმირები, არამედ პოემის ავტორი. სიუჟეტი აქ სადაა, მაგრამ თხრობაა გენიოსური. საოცარი ის კი არ არის, რომ ტარიელს და ნესტანს ერთმანეთი უყვარდათ და, ღვთის მადლით, კიდევაც იქორწინეს. პირიქით, სხვა ავტორი ნესტანს ამდენს არ მოუნდებოდა და გზა და გზა, დიდი ხანია ვისმეზედ გაათხოვებდა, ან როგორც თვით ნესტანს ჰქონდა გულში, ბლდეზედ «გადააქცევდა». გაუბედურებული ტარიელიც თავს ვისმეს შეაკლავდა და პოემა ამით გათავდებოდა. ასე იწერებოდა და იწერება რომანების ცხრა მეათედზედ მეტი და მკითხველის გულის შესაძრავად ესეც კმარა.

მაგრამ რუსთაველმა პოემა ბედნიერად გაათავა, ტარიელი და ნესტანი ერთმანეთს შეჰყარა, და თითონ თავის ბინდისფერ «საწუთროში» დარჩა, თვით ეს «საწუთროც» ისეთივე დარჩა, რამაც ტარიელის და ნესტანის წვალება წარმოშვა. აქ არის «ვეფხის ტყაოსნის» განსხვავება სხვა დანარჩენ ამბებთან, პოემებთან და რომანებთან. შესაძლებელია, ქართული და ყველაზედ ძვირფასი ვეფხის ტყაოსანში სწორედ ეს იყვეს. აქ, ამაში, რაღაც ქართული თვისება - რაღაც ქართული ხასიათი უნდა იყვეს გატარებული. ჩვენ დღეს ვლაპარაკობთ ისეთი ცუდი ენით, ვწერთ ისე არა რუსთველურად, ვგრძნობთ გვესმის ისე გადაქართულებულათ, — რომ მხოლოდ ცოტა გვესმის და მხოლოდ ცოტას ვგრძნობთ თუ — რა არის «ვეფხის ტყაოსანი» და ვინ იყო შოთა რუსთაველი.

მაგრამ დიდი იქნებოდა ჩვენი დღევანდელი ქართველობის განცდის წუთი, თუ რომელიმე ბედნიერი ქართველი მიაკვლევდა — ვინ იყო შოთა რუსთაველი! შოთა რუსთაველი «წრის» კაცი, შოთა რუსთაველი «წოდების» კაცი ჩვენთვის არაფერია, ან მარტოოდენ მისი უკვდავი პოემაა. მაგრამ რუსთაველი ამ და ამ ქართველ დედმამის შვილი, ამა და ამ ჩვენი კუთხის შვილი — იგი ცოცხალი რუსთაველი იქნებოდა ქართული ხორცი და სისხლი, ქართვლის ტომის ცოცხალი სვეტი!

ამიტომ რუსთაველის ძიებაში მნიშვნელობა სწორედ ასეთ აღმოჩენას ექნებოდა. მისი ნამდვილი სახელი, მისი ნამდვილი გვარი, მისი ნამდვილი ჩამომავლობა — ძიების მთავარი საგანი უნდა იყოს.

როგორა სწყვეტს ამ საკითხს ბ. ჟორდანია?

ის ამბობს: «აქ ჩვენთვის საყურადღებოა არა უეჭველად პოეტის გვარი და ჩამომავლობა, არამედ უმთავრესად მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა, მისი ალაგი სოციალურ იერარქიაში და იდეურ მიმდინარეობაში»ო.

მოკლედ რომ ითქვას, ბ. ჟორდანია პირველი მკვლევარია, რომელსაც რუსთველოლოგიაში «კლასობრივი» თეორიის პრინციპი შეაქვს. იმისი აზრით რუსთველი დაბალი წრის კაცი უნდა ყოფილიყო, სიგელების და გუჯრების გადამწერი ან დამწერი. მაგრამ როგორც «წვრილი აზნაური,» ბ. ჟორდანია თავის თავს მაინც არ იწყენს. ვინ იცის, ეგების, «მცირე გვარიანი» აზნაური იყოვო, გვეუბნება იგი. მაგრამ სრულიად შეუძლებლად მიაჩნია, რომ რუსთაველი დიდი არისტოკრატის ან კერძოდ ბაგრატიონის ჩამომავალი ყოფილიყოს, როგორც ამას პ. ინგოროყვა ფიქრობს.

როცა ლაპარაკი გენიოსზედ არის და არა უფერდო «კლასობრივ» მწერალზედ, რა თქმა უნდა, იქ წოდება გარაფერ შუაშია და უდიდესი ეროვნული გენიოსი, შესაძლებელია სულ უბრალო ქოხშიაც დაიბადოს, რადგან გენიოსის დაბადებაზედ მოქმედებს არა მარტო ტომობრივი კულტურა, არამედ ტომობრივი სისხლიც. მაგრამ როცა ასეთი გენიის ბიოგრაფია იწერება, აუცილებელია, რომ ეს გარემოება საბუთებით იყოს დამტკიცებული. თუ არა უმჯობესია, საკითხი ღიად დარჩეს. მერე რითი ამტკიცებს ბ. ჟორდანია, რომ რუსთაველი სწორედ ასეთი წრის კაცი იყო?

არაფრით. ბ. ჟორდანიას მოსაზრება მხოლოდ ის არის, რომ ქართველი ფეოდალობა ერთ-მეფობას ებრძოდა, რუსთაველი კი თავის პოემაში ერთმეფობის მომხრე იყო და ამისთანა იდეის კაცი არისტოკრატი ვერ იქნებოდაო. ამის დასამტკიცებლად ბ. ჟორდანია წარამარა ივ. ჯავახიშვილის სახელს ახსენებს ეს ივანე ჯავახიშვილის ამაოდ ხსენებაა. ივ. ჯავახიშვილი არსად არ ამბობს, რომ ერთ მეფობას მთელი ფეოდალობა ებრძოდა. საქართველოს გაერთიანება სწორედ ფეოდალების სურვილით და დახმარებით მოხდა. ბაგრატ მესამე ქართლის, აფხაზეთის და ტაო-კლარჯეთის მეფედ, ქართლის ერის თავმა იოანე მარუშიძემ დასვა. ლიპარიტ ორბელიანმა ტფილისი აიღო, აფხაზეთიდან ბაგრატ მეოთხე მოიწვია და ტფილისის არაბთა ემირების ტახტზედ აიყვანა. დავით აღმაშენებლის დიდი თანაშემწე დიდგორის სახელგანთქმულ ბრძოლაში იოანე ორბელიანი იყო. გიორგი მესამის თანამოსაგრე, ამ ორბელიანის შვილი შვილი, ისევ იოანე ორბელიანი იყო. აჯანყება მხოლოდ დემნას საკითმა გამოიწვია. ეს სულ სხვა საქმეა და ფეოდალების დავას ერთ-მეფობასთან საერთო არაფერი აქვს. საზოგადოთ ერთ-მეფობას მეთორმეტე საუკუნეში არავინ ებრძოდა. ბრძოლა იყო უფლისწულთა შორის და არეულობა სამეფოში ჯერ უფლისწულმა დავითმა შეიტანა (მეფე დავით მესამე,) მერე უფლისწულმა გიორგიმ (მეფე გიორგი მესამე) და შემდეგ უფლისწულმა დემნამ, რომელსაც მეფობა აღარ ეღირსა.

ამ რიგად შოთა რუსთაველი ისევე შესაძლებელია არისტოკრატი ყოფილიყო და ერთ-მეფობის მომხრე, როარა არისტოკრატიც. თუ სარიდან მეფე, ტარიელის მამა, რომლის მაგალითი თვით ბ. ჟორდანიას მოჰყავს, თავისი ნებით ეყმო ფარსადან ინდოეთის მეფეს, რა მიზეზით არის საფიქრებელი, რომ საქართველოს ფეოდალები, რომლებიც მეფენი არ იყვნენ და მხოლოდ «დიდგვარიანი» აზნაურები იყვნენ, ყოველს გარემოებაში და მუდამ ერთ-მეფობის წინააღმდეგი იქნებოდნენ?

ასევე უსაბუთოდ სწყვეტს ბ. ჟორდანია რუსთაველი ჩამომავლობის საკითხს. პ. ინგოროყვას მტკიცებით რუსთაველი ჰერეთელი ბაგრატიონი იყო. მეც არა მგონია, რომ შოთა რუსთაველი და შოთა კუპრი ერთი და იგივე პირი იყოს. მაგრამ შოთას ჰერეთელობის უარყოფა მარტოოდენ იმ მოსაზრებით, რომ «ქართლი და კახეთ-ჰერეთი საგსებით ჩამორჩენილი ყოფილა» და შოთასთანა კაცი იქ ვერ დაიბადებოდა, ამას კაცი, მარტო სტალინის გამოსაჯავრებლად თუ იტყვის, თორემ ივ. ჯავახიშვილს ასეთი რამ არსად არა აქვს ნათქვამი.

ბელია მხოლოდ კორპორაციის ფარგლებში.

5. ყველა ქართველთა სრული უფლებრივი თანასწორობა. თ. გიორგულ სახელმწიფოში წოდებები, უფლებრივი მხრივ მოსპობილ იქნებიან. იარსებებენ ქართველი მოქალაქენი გადარჩეული პროფესიებზედ.

6. თ. გიორგულ სახელმწიფოში მუქთა ხორათ და უსაქმურთ ალაგი არ ექნებათ. ყოველი ქართველი მოქალაქე უნდა ასრულებდეს რაიმე სასარგებლო სოციალურ ფუნქციას.

7. თ. გიორგულ სახელმწიფოში დამყარდება მტკიცე და ეროვნულად მიზან შეწონილი ეროვნული დისციპლინა. მთავარი შემქნელი ფაქტორი და დამცველი ეროვნული დისციპლინისა იქნებიან: ოჯახი, სადაც პიროვნება შეიძენს პირველ შემეცნებას დისციპლინისა, იერარქიისა და მოქალაქობრივი აღზდისა; ეკლესია - სულიერი და ზნეობრივი აღმზდელი პიროვნებისა; ეროვნული სკოლა აღმზდელი ღირსეული მოქალაქისა და კარგი მამულიშვილისა.

აი მთავარი დებულებანი, რომელზედაც აეგება თ. გიორგული სახელმწიფო.

თ. გიორგიმ ინტეგრალური ნაციონალიზმი სავსებით დაიმუშავა და მეცნიერულად დაასაბუთა. ამ მხრივ ახალი თუ ძველი ქართველი პატრიოტები ახალს ველარ იტყიან მრავალი ჯგუფებიც რომ დაარსონ და ათასი გაზეთები გამოსცენ. მათ შეუძლიათ მხოლოდ ჩვენი ნათქვამის გამეორება.

თ. გიორგის თორმეტი წლის ისტორია აქვს. თორმეტი წლის ძნელი არსებობა. ძნელი, რათგან ჩვენ გვიხდება მუშაობა უცხოეთში და ცხოვრების მკაცრ პირობებში. ამ თორმეტი წლის განმავლობაში ბევრი რაიმე გადაგვხდა თავს. ხან შიგნით გამოგვიჩნდენ სუსტნი სულით და გაგვიდგენ; ზოგი ჩვენ წევრთაგანი გამოდგა სულიერ წონასწორობას მოკლებული და იძულებულნი გავხდი თავითგან მოგვეშორებია; ხან გარეთგან შემოგვეპარენ თ. გიორგის ქურქში გახვეულნი მტრები და მოინდომეს ჩვენი დანგრევა... მაგრამ მიუხედავად ყოველივე გასაჭირისა და განსაცდელისა თ. გიორგი ისევ ფეხზედ სდგას. მტკიცეთ და მაგრად. იმიტომ, რომ თ. გიორგული აზროვნება არის ძლიერი, ჭეშმარიტი და საჭირო საქართველოსთვის. რათგან იგია ერთად ერთი მკვიდრი ფუძე, რომელზედაც შესაძლებელია ეროვნული მშენებლობა, რომელზედ უნდა აეგოს საქართველოს მომავალი.

ჩვენ ხშირად გვიწერია ამავე შინაარსის წერილები და კიდევ ხშირად გავიმეორებთ მომავალში. ჩვენ ვიცით ვათა და რა მიზნით ვწერთ.

ლეო კერესელიძე.

---

## ჩვენი სამხედრო ახალგაზრდობისათვის

თეთრი გიორგის მოძრაობის მიზანი არა მარტო სოციალურ-ეკონომიური პრობლემის გადაწყვეტა, ერის ნამდვილი მსოფლ-მხედველობითი იარაღით დარაზმვაში, ქართული რასის და მისი ტრადიციის დაცვაში და შენახვაში გამოიხატება, არამედ ძლიერი სახელმწიფოს შექმნაში, პატივით აღჭურვილი ადგილის მოპოვებაში სხვა კულტურულ ერთა შორის, ხალხის მუდმივ უზრუნველ ყოფაში. ძლიერი სახელმწიფოსათვის და საიმედო მომავლისათვის კი სულით და სხეულით ჯანმრთელი ახალგაზრდობაა აუცილებლად საჭირო. საქართველოს ისტორიის უკანასკნელი ხანა კი წინ გვიშლის ქართული ახალგაზრდობის განვითარების არა სასიამოვნო სურათს. რუსეთიდან შემოტანილმა რუსულმა სულმა და ევროპიდან შემოჭრილმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა აზრებმა გარეგნულადაც კი იქონიეს ქართველობაზედ ერთგვარი გავლენა, ხოლო ქართული ბუნების გადაგვარებას ძლიერად შეუწყვეს ხელი. შედეგი ამ წყეული გავლენისა ის იყო, რომ საქართველოში გაჩნდა ყოვლად უმგზავსო ტიპი სულიერად გარეგნულადაც სნეული ადამიანისა. წაერთვა ქართველ ერს სახელმწიფოებრივი შემოქმედების შნო, ახალგაზრდას კი ის მხედრული აღტყინება და სკოლა, რომელიც მას წინად ჰქონდა ქართულ მხედრობაში.

ქართული ოჯახი დაეცა. მშობლების ერთად ერთი მიზანი ის იყო, რომ მათი შთამომავალი ან „ჩინოვნიკი" ან კიდევ ექიმი ან იურისტი გამოსულიყო. იმას თუ რატომ არ ეპიტნავებოდა ბევრ ქართველ ახალგაზრდას მაინც და მაინც რუსულ ჯარში სამსახური, ჩვენ აქ ვრცლად არ შევეხებით. მაშინდელ საზიზღარ ატმოსფეროში საზოგადოდ ჯარში სამსახური პირდაპირ ცოდვა იყო. — სად იზრდებოდა ქართველი ახალგაზრდობა? სად ეძლეოდა მას ნამდვილი ქართული შეგნება? მცირე ნაწილი მისი უცხო სკოლებში „მეცნიერებას" სწავლობდა, თუმცა ნამდვილი მეცნიერის ნაცვლად მათგან უმეტეს შემთხვევაში „ჩინოვნიკი" გამოდიოდა. მეორე ნაწილი, თმა-გაბურძგნული, ბინძური და ჩამოგლეჯილი, რევოლუციონერობდა. სხვა კი, რომელსაც ჯანმრთელი სული და სხეული ახასიათებდა, ან უვარგის რუსის ჯარში მსახურებდა, ან კიდევ ქუჩაში და ქეიფში ულევდა უშნოდ ბოლოს თავის ახალგაზრდობას. „გაჩივნონიკებულთა", ღობის პროპაგანდისტთა და ბულვრების დამრტყმელი ბიჭების მასალით საქართველო ძლიერ სახელმწიფოს ვერ ააგებდა და ვერც ალაგო, როცა ეს საჭირო შეიქმნა მისთვის. აი ასეთ საუბედურო მოვლენას ებრძვის „თეთრი გიორგის" მოძრაობა ყოველი ძალღონით რომ იგი კვლავ აღარ განმეორდეს ჩვენი ერის ცხოვრებაში. თეთრმა გიორგიმ უკვე ეხლა უნდა შეჰქმნას თავის წრეში პატარა ძლიერი „სახელმწიფო", რომელიც შემდეგში ნამდვილ სახელმწიფო საჭეს მტკიცეთ მოსჭიდებს ხელს და მას ღირსეული მეთაურობით უწინამძღვრებს. მომავალი საქართველოს საფუძველი იქნება ქართული ჯარი, რომლის საშუალებით ჩვენი ახალგაზრდობა, გაწრთვნილი და მტკიცე დისციპლინაში ჩაყენებული, ახალ სახელმწიფოს არსებობისა და მშვიდობიანობის გარანტიას შესძენს. მხედრული შეგნებისა და სამხედრო მიხწევის შნო ქართველ ახალგაზრდობას ჩვენი განთქმული იუნკრებისა და სხვა ძველ და ახალ ისტორიული პიროვნებათა მოქმედებით დიახაც გამოუჩენია! ქაქუცა ჩოლაყაშვილი გახლდათ ქართული სისხლისა და ქართული მხედრობის უბრწყინვალესი თანამედროვე წარმომადგენელი! მომავალ თეთრ გიორგულ საქართველოში ქართველი ახალგაზრდის განვითარება სულ ახალ ნიადაგზედ იქნება დამყარებული. დასაწყისს მისი აღზრდისას წარმოადგენს ოჯახი მისი; შემდეგ მოხდება მისი გადაყვანა წესიერად მოწყობილ ქართველ ბავშვთა ორგანიზაციაში, სადაც მას, გარდა ჩვეულებრივი აღზრდისა საერთო სასწავლებელში, სპორტიული და მსოფლ-მხედველური აღზრდა მიეცემა. ეს იქნება მისი განვითარების პირველი ხანა. მერმე იგი გადავა უფრო რთულად მოწყობილ ორგანიზაციაში, სადაც დარჩება საერთო სკოლის დამთავრებამდის. ამ ეტაპის გავლის შემდეგ, საზოგადო განათლებით და ელემენტარული სამხედრო ცოდნით აღჭურვილი ქართველი ახალგაზრდა უკვე მისი აღზრდისა და განვითარების უკანასკნელ ხანაში შევა. იგი დაავგვირგვინებს თავის სიმწიფეს რამოდენიმე წლით სამსახურით ქართულ ჯარში. მხოლოდ ამ სამსახურის შემდეგ იქნება ქართველი ახალგაზრდა მატარებელი ეროვნული ერთობის მაღალი ხარისხის შეგნებისა. სულით მაგარი, ტანით საღი, დისციპლინით და სამხედრო წესით გაწრთვნილი ახალგაზრდა იქნება უმაგრესი ბურჯი და უმტკიცესი თავდები მომავალი საქართველოს არსებობისათვის. ბოლო უნდა მოეღოს პაციფიზმის, ბულვრების, ქუჩების და სამიკიტნოების გავლენას. ქართველი ახალგაზრდის საბოლოო ჩამოყალიბებას იკისრებს ქართველი ჯარი! მხოლოდ ასეთ ელემენტებს ძალუძს მომავალ საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს შექმნა და ერის ჯიშისა და კულტურის დაცვა.

ყოველივე ამას გვიკარნახებს ჩვენი მოვალეობა მომავალის წინაშე და ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობა, და ვაი იმ საქართველოს, რომელიც ამ კარნახს თვალ-ახვეული არ დაემორჩილება! ერთხელ მწარედ ნაგემი საკმარისი იყოს და მეორედ ცდა უცხო და ჩვენთვის შეუფერებელ აზრთა განხორციელებისა საქართველოს დამარხავს საუკუნოდ. ამიტომ არის აუცილებელი საჭირო, რომ ქართველი ახალგაზრდობა ახალი სულით აღიჭურვოს. მან უნდა განადიდოს კიდევ უფრო მამა-პაპათგან მემკვიდრეობით მიღებული ბუნება თვისი. ჩვენი ახალგაზრდობის უმთავრესი ნაკლი თავაშვებულობაში და ურჩობაში გამოიხატება. [illegible] არც ნიჭი, არც შნო და არც მამაცობა აკლია. ცნობილია, რომ ვისაც ბრძანება [illegible] ლება უნდა ისწავლოს. ერთად ერთი საშუალება კი ანარქიულ ჩვეულებათა აღსაკვეთად ეროვნულ ჯარში სამსახურია. ყოველი ქართველისთვის ქართულ ჯარში სამსახური უზომო სიხარულს და უდიდეს პატივს უნდა მოასწავებდეს, რათგან იგი ამ სამსახურით ქართული ეროვნული ერთობის განუყოფელი ნაწილი ხდება. საუკეთესოდ გაწრთვნილ და შეიარაღებულ ჯარს და ნიჭიერ ოფიცერთა კადრსა და შტაბს ქართველი ერი აღრფთოვანებით მიეგებება და სამშობლოს დამცველთ ყველაფერს შეხწირავს. მომავალი საქართველო კატეგორიულად მოითხოვს მოვალეობას ჯარში სამსახურისას, რათგანაც მხოლოდ მხედრულად აღზრდილ ახალგაზრდობაზედ არის დამყარებული მთელი ერის ბედი! და სწორედ თეთრი გიორგის მოძრაობამ უნდა ჩაუყაროს საფუძველი ნამდვილი ეროვნული ქართული ჯარის შექმნის იდეას!

მომავლ საქართველოს დაიცავენ ნამდვილი მხედრები და არა პაციფისტები ან „დამრტყმელი ბიჭები".

ბერლინი, მარტი, 1937 წ.

თელაველი.

---

## თ გიორგის წარსული და მომავალი საზღვარგარეთ

ბევრი მელანი დაღვარა ქართველმა ემიგრაციამ «თეთრი გიორგი»-სთან ბრძოლაში.

ბევრი ენერგია და ფული დაიხარჯა იმისთვის, რომ დაემტკიცებინათ ჩვენი «უვიცობა» ქართული სინამდვილისა, ჩვენი «იტალოფილობა», გადაღება უცხო აზრებისა და სხვა და სხვა.

თორმეტმა წელმა განვლო, და მიუხედავად ყოველგვარი ინტრიგისა და პირადი გამოლაშქრებისა, ჩვენი ორგანიზაცია მაგრად დგას ფეხზედ და მას შეუძლიან თამამად გაიხედოს უკან და ცივად დააფასოს განვლილი გზა.

მოვიგონოთ ის დრო, როცა კოლონიის კრებებზედ «თ. გიორგი»-ს წინააღმდეგ ილაშქრებოდნენ ყველა პარტიის ლიდერები, როცა თ. გიორგელს ხელსაც კი არ ართმევდნენ და როცა ნაციონალისტი და უპარტიოც კი ზურგს უმაგრებდნენ მენშევიკებს ჩვენთან ბრძოლაში.

დღეს სულ სხვა სურათია.

თუ მენშევიკები უკიდურესობაში ვარდებიან და სოსო ჯუღაშვილის მოკავშირებად ხდებიან; ლარგო კაბალეროს დაცვაში, დანარჩენი საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ თორმეტი წლის წინად ჩვენ მათ სწორი გზა უჩვენეთ, მხოლოდ დღეს მიაგნეს ამ გზას და ახლა, დაგვიანებით მაგრამ მაინც «ფაშისტობენ».

რასაკვირველია, ნათქვამია: «სჯობს გვიან ვიდრე არასოდეს», მაგრამ მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს იყო მაგათ მხრივ თორმეტი წლის დაკარგვა, ჩვენდამი უნდობლობის გამო.

თუ ეროვნულად განწყობილი საზოგადოება, დღეს ჩვენთან ერთად თვალ ყურს ადევნებს ახალ სოციალურ რეფორმებს: იტალიაში, პორტუგალიაში, გერმანიაში და სხვაგან, ეს იმიტომ რომ ჩვენ ყველას გვაინტერესებს ის ახალი მეთოდები მართველობისა, რომლებმაც გააძლიერეს, გააჯანსაღეს და მისცეს ახალი და ძლიერი სული ზემო აღნიშნულ ერებს.

აი მიზეზი, თუ საერთაშორისო პოლიტიკაში თეთრმა გიორგიმ რად გამონახა ის ეგრედ წოდებული «ფაშისტური» გზა, რომელიც აღვიძებს და აძლიერებს სხვა და სხვა ერებს, და ჩვენი რწმენაა, რომ თ. გიორგულად გაგებული «ფაშიზმი» გააღვიძებს და ძალას მისცემს ქართველ ერს.

აი რატომ ვცდილობთ ჩვენ წლების განმავლობაში სიტყვით და კალმით, გავაგონოთ საზღვარგარეთელ ქართველობას ჩვენი ერის ბრწყინვალე წარსული, რაინდული სული ჩვენი უამრავი გმირებისა და კულტად გარდაქცევა მათი სახელებისა. საქართველოს დიადი წარსულის ჩაგონებით რუსთველური მეგობრობის აღდგენით, მოყვარის პატივისცემით და მტრისადმი ზიზღით საქართველო აღზდგება.

ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ რომ ჩვენი მუშაობა საზღვარგარეთ გაგებულ იქმნა ქართველთ მამულიშვილთა მიერ. სადაა ის დრო როდესაც გიორგი სააკაძე მოღალატედ და ავანტიურისტად ითვლებოდა, და ალექსანდრე ბატონიშვილი გვირგვინის მოტრფიალედ? სადაა ის დროც როდესაც რუსებზედ სიმართლის თქმას გვიკრძალავდნენ. თ. გ—იმ პირველმა მოაგონა საზღვარგარეთელ საზოგადოებას საქართველოს მივიწყებული გმირები. თ. გ—იმ პირველმა გააცნო ჩვენს ახალ თაობას ხოგი-ეპიზოდებ საიქართველოს ისტორიისა და მან პირველმა დასწერა ის, რასაც ფიქრობს ქართველი ერი რუსებზედ და მათ ბარბაროსულ სულზედ.

თორმეტი წლის ბრძოლის და მუშაობის შემდეგ ესყველაფერი მიიღო ქართველმა ემიგრაციამ, მენშევიკების გარდა, რომელნიც არას დროს ეროვნულ საქმეს არ ემსახურებოდნენ. თ. გიორგელი და არა თ. გიორგელი ქართველი ერთი ენითა ლაპარაკობს.

ეს არის მოკლედ თ. გ—ის წარსული იმიგრაციაში. დღეს ქართველ ნაციონალისტებს შორის დავა საქართველოს მომავალ რეჟიმზედ მოსპობილია და ეს დიდი იღწევაა!!

თუ რეჟიმის გარშემო შეთანხმებისათვის პატრიოტ ქართველებს დასჭირდათ თორმეტი წელი, საუბედუროთ კავკასიელ ერთა შეთანხმებისათვის ეს ხანაც საკმარისი არ გამოდგა და აგერ ოცი წელია რაც გრძელდება ცდა და აქამდის საგრძნობი არა გამოვიდა რა.

ჩვენ ქვეყანაში დაწყებული «სეიმის" სახით კავკასიის კონფედერაცია დამთავრდა, როგორც ვიცით ერთმანეთის დაშორებით. ეს იმიტომ, რომ არც ჩვენში და არც ჩვენ მეზობლებში კავკასიის მთლიანობის შეგნება არ არსებობდა.

დღეს იმეთი ქართველი არ მოიპოვება, რომელიც პრინციპიალურად არ ეთანხმებოდეს იმ აზრს, რომ კონფედერაციის გარეშე საქართველოს თავისუფლება არ იქნება უზრუნველყოფილი.

ასევე ფიქრობენ ჩვენი მეზობლები. მიუხედავად ამისა, პირადი ამბიციების გამო, ერთი მეორეს ხელს უშლის. ჩვენ ღრმადა გვწამს, რომ საბოლოოდ კავკასიის ერებში მოინახება საერთო ენა, მაგრამ ამისათვის ჩვენ ქართველ პატრიოტების მოვალეობაა შეუწყოთ ხელი მთელი ჩვენი ძალ ღონით. ამ კონფედერაციის საკითხში ქართველებს აუცილებლივ აქარია, უმთავრესი როლი.

ამას გვიკარნახებს ჩვენი წარსული, ჩვენი გეოგრაფიული და ის, რომ ქართველი ერი თავის არსებით ყოველთვის შემაკავშირებელი ძალა იყო კავკასიაში.

კავკასიის კონფედერაციის ყოფნა და არ ყოფნა ქართველების ხელშია, არა მხოლოდ გეოგრაფიულ რუქაზედ ჩვენი ქვეყნის მდებარეობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ არც ერთ ჩვენ მეზობელთან მტრულ განწყობილებაში არა ვართ.

ქართველმა პოლიტიკოსებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ გამჭრიახობაზე და სინდისზედ დამყარებულია ყველაზედ უფრო საქართველოს და მთელ კავკასიის ბედი. აზერბეიჯანი, სასომხეთი, მთა და საქართველო ერთ სხეულს წარმოადგენს; უჩვენოდ ჩვენი მეზობელი ერები ვერ იარსებებენ, მაგრამ საქართველოს თავისუფალი არსებობა ჩვენ მეზობელ ერების თავისუფლებაზედაა დამოკიდებული. ჩემი შეხედულებით, მორიგი ეტაპი თეთრი გიორგის ბრძოლისა აუცილებლად კავკასიის კონფედერაციის განხორციელებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

ეს იქნება ქართული საქმე, ეს იქნება კავკასიის საერთო საქმე.

ლ. ჟაჟელი

---

მეთორმეტე საუკუნე საქართველოს საერთო აყვავების ხანა იყო. რაღა საქართველოს ეს ცენტრი, ქართული კულტურის მუდმივი აკვანი — ქართლი იყო მაშინ ჩამორჩენილი და ისიც «სავსებით?» ჩაუფიქრდეს ამას ბ. ყორდანია. ამ ხანაში «ქართლ-კახეთ ჰერეთში» ბრწყინავდნენ ჩვენი კულტურის ისეთი სავანენი: როგორც იყო, შიო მღვიმეს ლავრა, მცხეთა — თავისი საკათალიკოზო ტახტით, ტფილისი სამეფო ტახტით, საორბელოს დიდი ქალაქები სამშვილდე და დმანისი (სწორედ ეხლა სთხრიან მათ არქეოლოგები), აგარანი თავისი — ქებული სასახლეებით, რუსთავი ჰერეთში, გარეჯის ლავრა და ბოდბე, ალავერდი და იყალთოს განთქმული აკადემია კახეთში და კიდევ სხვანი? მე მგონია დიდ ცოდვად არავინ ჩაუთვლიდა რუსთაველს. რომ «შემთხვევით» ამ ადგილებშიაც დაბადებულიყო. სხვა არა იყოს რა, მარტო ერთი ტფილისის შერეული ქართულ-არაბული კულტურა რადა ღირს, თუ ყველაფერში არა, რუსთაველოგიის ზოგიერთ პრობლემების ასახსნელად.

მაგრამ ბ. ყორდანია ამას არ დაეიდევს.

ან რა მეაშია და, მით უმეტეს, ვისთვის რა საზარბიელოა ასე თავ-შეუდებელი მტკიცება, რომ საქართველოს სამეფოს ოქროს ხანაში, ქართლ-კახეთ-ჰერეთი ე. ი. სამეფოს მთელი ნახევარი, ჩამორჩენილი ყოფილა და ისიც «სავსებით». განა ქვეყანამ, რომ შოთა რუსთველი ვერ დაბადოს, ის ჩამორჩენილიც არის?

ბ. ყორდანია ფიქრობს, რომ რუსთაველი მესხია ჩამომავლობით. კაცმა რომ სთქვას, ბ. ყორდანია არაფერსა ფიქრობს და ეს გარემოება თვით «ვეფხის ტყაოსანშია» აღნიშნული. ბ. ყორდანია ამას ემყარება ამით დიდგულობს. მაგრამ ეს დებულება, დიდი ხანია საცილოდ არი გამოცხადებული. მცოდნეებს ამ სტროფის სინამდვილე აღარ სჯერათ. სჯერათ მხოლოდ რუსთაველოგიის პროფანებს და ბ. ყორდანიას. მაგრამ პოემაში ის ნათქვამია უბრალოდ, როგორც პოემის სხვა დანარჩენი ათას შვიდასი სტროფა, ყორდანია კი მის დამტკიცებას სცდილობს, და აი აქ ვარდება სასაცილო ყოფაში.

ვშაიდან თმოგველი, გიორგი და მე მთაწმინდელნი ჩხარგმელნი, ხანძთელი, ჩახრუხაძე და სხვა მრავალი მოღვაწენი», მესხები იყვნენ, შოთა რუსთაველიც მესხი უნდა იყოსო, ბრძანებს ბ. ყორდანია. მაგრამ ასახელებს ისეთ სხვა და სხვა ეპოქის ხალხს, რომ, მაგალითად, მამა გრიგოლ ხანძთელისა და რუსთაველის შორის ორ საუკუნის მანძილია. თმოგველი, რომელიც ამ «მესხების» სიაში ყველაზედ უნცროსი უნდა იყოს, თავში მოდის. გიორგი მთაწმინდელი ექვთიმეზედ წინ სწერია. ვინ უმფროსია და წინ იყო, ვინ უმცროსია და მერე იყო კაცი ვერ გაიგებს. მოკლედ ბ. ყორდანიას ქრონოლოგია არა სწამს. ისეთ ყოფაში ვარდება, რომ რუსთაველი კიდევაც რომ მესხი იყოს, ეს მისი მესხობა ქარწყლდება, რადგან ყორდანიათი შოთა რუსთაველი იმიტომ არის მესხი, რომ მესხი იყო გრიგოლ ხანძთელიც, მაგრამ ხანძთელი ქართლელია. მაშასადამე, ბ. ყორდანიამ არ იცის ქართული ისტორიის ის თვალსაჩინო ამბავი, რომ მესხეთის კულტურის დამწყები და ამყვავებელი სწორედ ქართლის კაცი იყო. ბ. ყორდანიამ არ იცის, აგრეთვე, რომ ქართლელი იყო გიორგი მთაწმინდელი, რომ მესხები კი არა, ხმესონი იყვნენ მხარგრძელები და ჯერ არავის დაუმტკიცებია, რომ ჩახრუხაძე, რომელიც თავის თავს «მოხევეს» უწოდებს — მესხი იყო. საზოგადოთ ბ. ყორდანიამ არ იცის, რომ მესხეთი ჰყვაოდა მეცხრე და მეათე საუკუნეში, მაგრამ მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეში მდგომარეობა სხვანაირი იყო. მოკლედ ჩვენი ავტორის კვლევა-ძიება ასკინკილა კაცის მტკიცებასა ჰგავს. სახელი იცის — ჩამომავლობა არა, გვარი — იცის საუკუნე აღარა. მაგრამ ყველა სახელსა და ყველა საუკუნეს ერთად იძახის და ასე გადის იოლად.

ეს მეცნიერული კვლევა ძიება არ არის „გადაჭრილი შეხედულობის გამომუშავება" კი მარდი და უმოწყალოა.

მე მგონია დროაა, ჩვენი წერილი შოთას სიტყვებით დავაბოლოვოთ:

«უმზგავსო სიტყვა ყოველი მოკლეა, მით ოხერია, რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა სიტყვა მოუწერია.»

შ. ა.

---

## ბ-ნი ინასარის რომანის შესახებ.

« ჩრდილი ერთი სინამდვილის »

უპირველეს ყოვლისა ბ-ნ ი. ინასარს მადლობა ეკუთვნის იმ ენერგიისათვის, რომელიც მან თავისი წიგნის გამოცემით გამოიჩინა. ჩვენი ემიგრანტიული ცხოვრების პირობებში ეს დიახ ძნელი საქმეა.

ბ-ნ ინასარის რომანის კრიტიკული ანალიზი სპეციალისტებისათვის დამითმია და ჩემს თავს ნებას ვაძლევ მხოლოდ ორიოდე მოსაზრება გამოვსთქვა.

მარქსისტული რუსეთის შემოსევა თავისი ველურობით იმპერატორულ რუსეთის შემოსევას არ ჩამორჩება. ორთავე რუსეთის ბატონობა უსაშინელესი ხანებია საქართველოს ისტორიისა. ძნელია იმ ეროვნული ტრაგედიის სინთეტიური სურათის გადმოცემა რომანის სახით. რომელსაც დღეს საქართველო განიცდის განსაკუთრებით კი, იმ მეთოდით და მიდგომით, რომელიც ბ-ნ ინასარმა აირჩია თავის რომანისათვის. იგი დაემყარა კერძო ვითარებას საზოგადო — საერთო ვარამის და სულიერ განცდათა აღსაწერად. მან მოგვცა რამდენიმე პიროვნება, საშუალო დონის ქართველნი, და მათ ურთიერთობაში, მათ პირად დამოკიდებულებაში, მათ გულის ვნებათა მიერ გამოწვეული მოქმედებით მთელი ერის განცდანი და ტანჯვანი თვალ წინ გადმოგვიშალა. დაგვანახა ნათლად მთელი მისი საშინელი სიმახინჯით, ის წიაღი, რომელსა შინა უხდება დღეს ქართველ საზოგადოებას ცხოვრება და შრომა; ერთი პატარა, კერძო კერის კუთხიდან მთელ ქართველ საზოგადოების ვითარებას მოჰფინა შუქი.

ბ-ნი ინასარის რომანის კითხვის დროს მკითხველი არა მხოლოდ რომანის გმირთა ტანჯვებით იტანჯება, არამედ და უფრო მძაფრად მთელი საქართველოს ტკივილებს განიცდის. ავტორმა დაამტკიცა, რომ ერთი ადამიანის სული მთელი ერის სულის გასაღები ყოფილა

რომ შესაძლებელია მწერალმა ერთი ადამიანის სულის სიღრმეში დაინახოს და ამოიკითხოს მთელი ერის განცდები და სულიერი ტკივილები, როგორც მტვრის ერთ მარცვალში ბიოლოგი პოულობს მთელი კოსმოსის ძირითად კანონებს.

მადლობა ეკუთვნის ბ-ნ ინასარს იმიტომაც, რომ იგი დიდის ენერგიით განაგრძობს ძველ ქართველ ემიგრანტთა ტრადიციას და უკუღმართი ბედის მიერ უცხოეთში გადახვეწილი, მიუხედავად ათასგვარი გაჭირვებისა, ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა. მან თავისი რომანის დაწერით და დაბეჭვდით დაგვიმტკიცა, რომ ქართული ენერგია ისეთი ძლიერია, რომ რა ძნელ პირობებშიც არ უნდა იმყოფებოდეს, სადაც არ უნდა გადასტყორცნოს ცხოვრების ტალღამ: სინაის მთაზედ, პალესტინის თუ ათონის მონასტერში, ქირმანის საპყრობილეში თუ პარიზის ქარხნებში იგი ყველგან ანთებს ჩაუქრობელი ლამპარივით და განაგრძობს ეროვნულ შემოქმედებას, რაც უდიდესი საბუთია საქართველოს სიცოცხლის ძალისა და უკვდავებისა.

ლ. კერესელიძე

## გაზეთებიდან

ერთ რუსულ გაზეთის ცნობით, 22თებერვლი თარიღით, რამდენიმე წლის წინათ ავსტრალიაში გამგზავრებულ ექსპედიციას აღმოუჩენია შუაგულ ავსტრალიაში ველურები ლურიტიას-ის სახელწოდებით. აღსანიშნავია ერთ ერთი მათი ჩვეულება: ლურიტიასები ზრდიან მხოლოდ პირველ დაბადებულ შვილს, დანარჩენი შვილების ჭამის უფლება აქვთ და იშვიათად ხდება, რომ მშობლები ამ თავიანთ უფლებაზედ უარს აცხადებდენ.

ფაქტი რა თქმა უნდა ფრიად ამაღელვებელია. მაგრამ ეს ზემოხსენებული ექსპედიცია, რომ ავსტრალიის მაგივრად ამ რამოდენიმე წლის წინად ევროპიელ ველურების ქვეყანაში რუსეთში გამგზავრებულიყო არა ნაკლებ საინტერესო აღმოჩენებს გააკეთებდა იქაურ ველურებზედ. აი მაგალითად რუსეთის ველურებმა თავიანთი შვილები ხშირად შეახრამუნეს და ამ ნაზ მშობლიურ ალერსს ვერც პირველ დაბადებულნი შვილები გადაურჩენ. რუსები რა თქმა უნდა ამაზედ იტყვიან, რომ ეს სიმშილობის გამო მოხდაო რაც თავისთავად სიმართლე იქნება. ვიტყვით მხოლოდ, რომ არც მაძღარი ლურისტიასები მიირთმევენ თავიანთ შვილებს.

ა. გ.

### რუსთველის იუბილისათვის მზადება.

რუსთველის იუბილესთან დაკავშირებით "ვეფხის ტყაოსანი„ ითარგმნება და იბეჭდება სხვა და სხვა ენაზე.

—რუსულ ენაზე: გამოსცა ბალმონტის ნათარგმნი „ვეფხის ტყაოსანი».

—საკავშირო სამეცნიერო აკადემია სცემს პეტრენკას მიერ თარგმნილ „ვეფხის ტყაოსანს".

—გარდა ამისა სახალმწიფო ლიტგამომცემლობა სცემს იორგი ცაგარელის თარგმანი.

—უკრაინულ ენაზე: პოემა სთარგმნა პოეტმა მიკოლა ბაჟანმა თარგმანი დაიბეჭდება როგორც აკადემიური ისე მასიური გამოცემით.

—თურქულ ენაზედ პოემას თარგმნის აზერბეიჯანის პოეტი ჯავიდი, რომელიც გამოიცემა აზერბეიჯანული მხატვრების ილუსტრაციებით.

—სომხურად პოემას სთარგმნიან პოეტი ნაირი ზარიანი და ასატური.

—ფრანგულ ენაზედ სთარგმნა პოეტმა ქალბა ორბელიანმა

მოვიგონოთ რომ გარდა ამ თარგმანებისა შოთა რუსთველის უკვდავი ნაწარმოები თარგმნილი იყო: ინგლისურ ენაზედ მარჯორი უორდროპის მიერ.

—გერმანული თარგმანი ეკუთვნის არტურ ლეისტს ლექსად.

—უნგრულ ენაზედ პოემა ლექსად სთარგმნა უნგრელმა მწერალმა აკადემიკოსმა ბელა ვიკარმა და ვიორგი წიკლაურმა.

### მონოგრაფიები რუსთველზე.

საიუბილეო კომიტეტი მიმდინარე წელს გამოსცემს ქართულ ენაზედ სამს მონოგრაფიას:

პროფ. ივანე ჯავახიშვილის «რუსთველის ეპოქა».

პ. ინგოროყვას "რუსთველის ლიტერატურული წინამორბედნი».

პროფ. შალვა ნუცუბიძის "ქართული კულტურა და რუსთველი".

### მონოგრაფია ბექა ოპიზარზე,

პროფ. შალვა ამირანაშვილმა დაამზადა მონოგრაფია მე-12-ტე საუკუნის ქართველ «ოქროს მჭედლზე» ბექა ოპიზარზე. წიგნს დართული ექნება 30 ტაბულა. ტექსტი შეიცავს 4 ფორმას.

### ქართველობა ბელგიაში.

წელს, ბრუსელში მყოფ ქართველთა შორის განსაკუთრებული ცხოველი იყო საზოგადოებრივი ცხოვრება. უკრაინულ-ქართულმა ჯგუფმა მოაწყო მთელი რიგი მოხსენებებისა საქართველოს ისტორიაზე. ბ-ნ ტუღუშმა თვის საინტერესო ხუთ საუბარში განიხილა საქართველოს ისტორია ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

მოეწყო „საღამო", რომელსაც უცხო საზოგადოებაც მრავლად დაესწრო. დამსწრე საზოგადოება მეტად ასიამოვნა რუსუდან ყიფიანის და გიორგი ყაველაშვილის მიერ მოხდენილად შესრულებულმა ლეკურმა, და აგრეთვე ექვსი კაცისაგან შემდგარი ქართულმა გუნდმა.

მოწყობილ იქმნა აგრეთვე მამა პეტერსის საჯარო მოხსენება: „საქართველოს მონასტერთა ისტორია პირველ აღორძინებამდე". მრავალრიცხოვან აუდიტორიას ბ. მ. ტუღუშმა წარუდგინა მამა პეტერსი: «ცნობილი მკვლევარი, წევრი სამეფო სამეცნიერო აკადემიისა, რომელიც 1907 წლიდან ძველ ქართულ კულტურას იკვლევს, და ითვლება ერთ-ერთ ღრმა მცოდნეთ ძველი ქართული ისტორიისა. მამა პეტერსი არ ყოფილა საქართველოში, მაგრამ მიუხედავად ამისა მან შესძლო მოეცა საქართველოს საეკლესიო და წმიდათა ცხოვრებაზე ფრიად საინტერესო შრომანი." დასასრულ ბ-ნ ტუღუშმა უღრმესი მადლობა გამოუცხადა პეტერს ქართველთა სახელით.

მამა პეტერსის ვრცელ საინტერესო მოხსენებას აქ რსებითად არ შევეხებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ის იყო ღრმა შინაარსით, შემცველი ბევრი საინტერესო აზრების. მომხსენებელმა განაცხადა რომ «ვინც საქართველოს წარსულს და მის კეთილშობილ სულს იცნობს არ შეიძლება არ გახდეს ამ ერის ერთგული და გულწრფელი მეგობარი, რომელიც არა ჩვეულებრივი ენერგიით ინახავდა თავის კულტურას და წარსულს"ო. ის მიეგება საქართველოს როგორც ბოლანდისტი, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული აღწერონ ყველა ქვეყნის წმიდათა ცხოვრება და ისტორია. ხოტბა შეასხა ჩვენ ქართულ მეცნიერებას, რომელიც არაჩვეულებრივ მძიმე პირობებში ახერხებს ყოველ დღე ახალი შეიძინოს ქართულ და საქვეყნო მეცნიერებას"ო.

განიხილა ქრისტიანობის ისტორია მეთერთმეტე საუკუნემდე და შესანიშნავად დაგვიხატა ძველი ქართული მონასტრების მოღვაწეობა, რის შესახებაც მან ბევრი ახალი აზრი გამოსთქვა. აღნიშნა აგრეთვე დიდი როლი სომეხთა ჩვენ ძველ კულტურაზე და საეკლესიო ცხოვრებაში..

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მამა პეტერსმა პირველმა წაიკითხა ჯვრის მონასტრის წარწერა ბრუსელის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში, რომელიც აქამდე სომხურად მიაჩნდათ და აგრეთვე გადათარგმნა ლათინურად და გამოიკვლია ბევრ ქართველ წმიდათა ცხოვრება.

მიმდინარე წელს ბრიუსელში განძრახულია მოეწყოს ლიტერატურული საღამო ილია ჭავჭავაძის 30 წლის ტრაღიკულად გარდაცვალების თავზე და შოთა რუსთაველის 750 წლის თავის აღნიშვნა.

ბრიუსელი. 1936 წ.

ი. ოთხმეზური.

### «ეროვნული გაერთიანება.»

პარტიული ეგოიზმით, ჩხირკედელაობით და ვიწრო გაკოტრებული პროგრამებით თავმობეზრებული ახალგაზრდების ერთი ჯგუფი კიდევ მოსწყდა დაბერებულ პარტიულ და ქართულ ემიგრანტულ პრესას დაემატა ახალი გამოცემა : ეროვნული გაერთიანება."

ჟურნალი იძლევა ჯგუფის მთავარ პრინციპებს, რომელიც მეტად ზოგადათ და ფრთხილად არის შედგენილი. მათი სიტყვიდ რომ ვსთქვათ მოცემულია :»მთლიანობის განსახორციელებლად საჭირო იდეური და პოლიტიკური ნიადაგის მინიმუმი" ამკარა, დებულებების დამწერი ორ ცეცხლ შუა იწვის ხედავს რა, რომ ემიგრაცია დღეს იდეოლოგიურად ორ მთავარ ბანაკად არის გაყოფილი. ერთის მხრივ სოციალისტური და დემოკრატიული და მეორეს მხრივ ქართული ფაშისტური თუ მოცაშისტო ელემენტები. ამ ორ ბანაკს შორის გაცხარებული ბრძოლა ჟურნალის წაკითხვიდან შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ის სცდილობს ორი შეურიგებელი ბანაკი შეარიგოს. ერთიც დააკმაყოფილოს და მეორეც, ამიტომაც "ეროვნულ გაერთიანების" დებულებები წარმოადგენს მოხერხებულად და მოხდენილად აკინძულ ძველი და ახალი ქართული მოძრაობათა იდეოლოგიის ნარევს.

მიზანი ჟურნალის კეთილშობილურია, სურვილიც კარგია ჩვენ არ გვინდა ეჭვი შევიტანოთ ემიგრაციაში გატანჯულ ახალგაზრდების სიტყვების გულწრფელობაში: «დროა შევიგნოთ, რომ გვჭირდება ერთობა მიზანი ერთია». —«სამშობლოს ხსნა». — «საჭიროა გაერთიანება «ერთ გულწრფელი გვსურს ვაკეთოთ ერის «საკეთილდღეო საქმე» და სხვა. მაგრამ ვეჭვობთ, რომ არსებულ პირობებში ეროვნული გაერთიანების დიდი და რთული პრობლემა მათმა სურვილმა დასძრას მებრძოლი ბანაკებიდან.

ყოველ შემთხვევაში ძველი პარტიებისაგან ჩამოცილება, ძველი პარტიული მანდატების დაფხრეწა ახალგაზრდების ერთი ჯგუფის მიერ უკვე არის პატარა ეროვნული საქმე.

თეთრი გიორგელი.

✝

### თედო ზარიძე

ძვირფასო ძმაო თედო, უკანასკნელ წუთებში, ჩვენი გამხნევების მაგიერ, ისევ შენ მოგვმართე შენს მეგობართ:

«ჩემზედ ნუ იწუხებთ ნურც დედამას შეატყობინებთ ჩემს სიკვდილს, რომ ისინი არ გაიტანჯნენ, თქვენ კი თავს მოუარეთ, რათა თქვენ მაინც იყვნეთ ბედნიერი იმ ბრძოლის მიღებაში, რომელიც ჩვენმა ჩაგრულმა სამშობლომ უნდა იხილოს თავისუფლების მოპოებისათვის»

შენი რჩევა უფრო გვიორკეცებს ჩვენ ტანჯვას, რადგან უცხო მხარეში მყოფთ, მოწყვეტილთ მშობლიურ ალერს გვიხდება მეგობრის გვამზე ქვითინი.

ძვირფასო თედო, ჩვენ თეთრ გიორგელნი განსაკუთრებით ვმგლოვობთ შენს დაკარგვას, რადგან შენ იყავი ერთი იმ ახალგაზრდათაგანი იმ წინაპართა რომელთაც სწამდათ პატიოსნება და სამშობლოსადმი უანგარო სიყვარული. შენ ეს დაგვიმტკიცე აქ ჩვენ გვერდში მყოფთ. იქ კი ჯერ კიდევ ახალგაზრდამ მიიღე მონაწილეობა 1931წ. «თუშთა აჯანყებაში» ბოლ. შევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მათი ვერაგული ხელი მთასაც მოსწვდა თქვენს ალვანს. თქვენ ეს ვერ აიტანეთ და მათ წინააღმდეგ გაილაშქრეთ. ძლიერმა მტერმა ჩააქრო თქვენი მოძრაობა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის შემდეგ თქვენი გამოსვლა ბრძოლის ველზედ, გამონაკლისია იმ ეროვნული ბრძოლისა რომელიც მრავალჯელ გადუხდია საქართველოს. ჯერ კიდევ ახალგაზრდას, რამდენი სამსახურის გაწევა შეგეძლო შენი ქვეყნისათვის, მაგრამ ბედმა გიმუხთლა, ახალ ბრძოლებს ვერ ეღირსე, რომელსაც შენი ძმანი თეთრ-გიორგელნი დღე და დღე მოველით. არ დაგცალდა სამშობლოს ნახვა, რომლის გარეშე შენ ცხოვრებას სიცოცხლედ არ სთვლიდი.

ძვირფასო ძმაო თედო, მიგაბარეთ უცხო მიწას, მაგრამ ეს დროებითია, მოვა დრო როდესაც შენ ნეშთს გადავიტანთ მრავალ ქართველთან ერთად. შენ საყვარელ მიწას მიებარები და დაამშვენებ იმ დიად ეროვნულ საფლავს, რომელსაც დღეს დაპყრობილი ერი ეთაყვანება.

სანდრო ჯიღაური.

✝

### იოსებ დადიანი

გარდაიცვალა და ღირსეულის პატივით დაასაფლავეს კარგათ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე იოსებ დადიანი. განსვენებული იყო იშვიათი ბუნების და ხასიათის პიროვნება, შემკული ქართველი კაცის საუკეთესო თვისებებით. ემიგრაციაში თუ ბაქოში (სადაც სცხოვრობდა მრავალი წლების განმავლობაში) ის უწევდა ნივთიერ და ზნეობრივ დახმარებას ყოველ კულტურულ, და პატრიოტულ ქართულ საქმეს, რისთვისაც დაიმსახურა ქართველი საზოგადოების ყველა წრეების ნდობა და პატივცემა. დასაფლავებას დაესწრო პარიზის ქართველთა დიდი ნაწილი და ბევრი უცხოელები.

### «ქართლოსის» დაშლა.
(ცნობად).

მკითხველ მოეხსენება, რომ გასულ წელს თეთრი გიორგიდან გარიცხულმა 25 წლის მენშევიკურ-მარქსისტულ სტაჟ-მიღებულ მაღლაკელიძე-ნოზაძესთან განაგრძეს თანამშრომლობა რამდენიმე ძველმა თ. გიორგელმა, რომლებმაც სამი თვის წინეთ გამოუშვეს ჟურნალი «ქართლოსი». — «ფაშისტური» დარაზმულობის ორგანო. ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ ამ პირთა დაწყებული საქმე უსათუოდ მარცხით დამთავრდებოდა. დღეს გავიგეთ მათი უკანასკნელი თავშესაფარის «ქართლოსის» დაშლის ამბავი სხვებთან ერთად ქართლოსის ჯგუფს ჩამოშორდა პასუხისმგებელიდა აქტიური წევრები კ. სალია და ფრ. წულუკიძე: ბუნებრივია, რომ თორმეტი წლის განმავლობაში თ. გიორგის მიერ მათში შთანერგილი ღომაეროვნული სული ვერ შეურიგდა ახალ მოდის «მენშევიკურ პატრიოტიზმს» ნოზაძე-მაღლაკელიძისას, რომლებიც მეტად დახელოვნებული, დასპეციალიზირებული არიან სხვათა იდეების მტაცებლობაში, დიდი სიტყვების: ფაშიზმი, ინტეგრალური ნაციონალიზმი, თ. გიორგი, ქართლოსი, სამეფო და სხვათა მითვისებაში

როგორც პირდაპირი წყაროებიდან გავიგეთ «ქართლოსის» ჯგუფის დაშლის მიზეზი ყოფილა: მაღლაკელიძე ნოზაძის მუდმივი კონტაქტი პასუხისმგებელ მენშევიკებთან და აქედან ჟორდანიას ფრონტის არა პირდაპირ გავლენა მათ პოლიტიკაზედ და მოქმედებაზედ აგრეთვე ყოვლად სამარცხვინო, და დაუშვებელი რუს მლადოროსებთან კავშირის ძებნა.

სჩანს ბ.ბ. ნოზაძე-მაღლაკელიძემ: ფაშიზმი, თ. გიორგელობა, ინტეგრალური ნაციონალიზმი, სამეფო და სხვა ვასეთი დიდმნიშვნელოვანი სახელები და იდეები იმისთვის მიიკერეს, რომ მათ სახელი გაუტეხონ.

ქართლოსში მომხდარი კონფლიკტის შემდეგ გარკვეულად შეიძლება ითქვას, რომ ეს ისედაც რამოდენიმე კაცისაგან შემდგარი ჯგუფი აღარ არსებობს.

რასაკვირველია ჩვენ ვიცით, რომ ნოზაძე განაგრძობს დღეს «ქართლოსის» ხვალ «თარგამოსის» და სხვათა გამოცემას. ამის საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს იპურჭალოს, ეს ხომ მისი საქმეა...

ის სამი ყოფილი თ. გიორგელი ბ.ბ. კ. დადიანი ს. ბერეჟიანი და გახოკიძე. დღეს კიდევ მაღლაკელიძე-ნოზაძესთან თანამშრომლობით თავს ირთობენ. ალბათ მალე დაინახავენ ხსენებულ პირთა ნამდვილ ბუნებას.

ხოლო თუ საბოლოოდ მოისურვებენ მათთან შეუღლებას, ჩვენ მათ ბევრს არ ვიგლოვებთ. ღმერთმა ნოზაძეს მოახმაროს!...

✝

### სერგო მაის[illegible]

ჩემთა საყვარელთა ძმათა საფლავზე
ჰოტენტოტივით დავეხეტები.

იცი, რა მძიმეა ძმაო ჩვენი ხვედრი? იცი, რა ძნელია სამუდამოთ გამოეთხოვო იმ მეგობარს, რომელიც შენში კიდევ სცოცხლობს, რომლის სუნთქვაც ჩვენ კიდევ გვესმის? იცი, რა ძნელია იმ სამი მუჭა მიწის აღება რომელიც მეგობრის კუბოს უნდა მიაყარო?! შენ მოგვშორდი ძმაო, ჩაქრი როგორც წმიდა სანთელი სამშობლოს ხატთან დანთებული, და სიკვდილის წინაც ველარ ეღირსე შენს სამშობლოს, შენს ოჯახს! ვინ იცის ძმაო, რამდენი ჩვენგანი გაითხრის კიდევ შენს გვერდით საფლავს და თან ჩაიტანს უკვდავ ოცნებას: «ნურც მკვდარს გამწირავ ნურც ცოცხალს შენს მიწას მიმაბარეო ჩემო სამშობლო მხარეო.» და თუ ცოცხლები ველარ ჰნახა საქართველომ თვისი შვილები, თუ ცოცხლებმა ველარ ვამბორეთ მის სისხლიან კალთებს, იქნებ მკვდრები მაინც ჩაგიხუტოთ თავის გულში და გაგათბოთ უცხო მხარეში გაყინულნი.

ძმაო, მიწაში მეტი გყავს მეგობრები, ვიდრე ცოცხლებში, და თუ ასეთი იქნებოდა შენი უდროო ბოლო, რად გინდოდა ჩვენი ძმობა, მეგობრობა? შემოიჭერი ჩუმათ, კრძალვით დაიკავე ჩვენს გულში შენი ადგილი და მერე მოგვშორდი, მიგვატოვე.

ჩვენ ისეც ბევრი გვაქვს სატირელი და სავალალო. ჩვენ ისეც ბევრი ვზიდეთ კუბოებით ჩვენი ძმები! ეხლა შენც მათ შეუერთდი ჩემო სერგო, მოგვიმატე თვალთ ცრემლები, და თუ საიქიოს თქვენ გრძნობა გაქვთ, იგრძენით ჩვენი ტკივილები, გაიგონეთ ჩვენი ტირილი.

ჩვენში მუდამ იარსებებ ძმაო, ცოცხალი თუ მკვდარი მუდამ ჩვენთან იქნები.

შენ ეკუთვნოდი მარად საამაყო ქაქუცას რაზმს, რომლის რაინდულ მოქმედებას ქართველ ერს სირცხვილი წარხოცა.

უშიშრად, უანგაროდ ემსახურებოდი სამშობლოს განთავისუფლების იდეას.

შენ იბრძოდი მხნედ და ერთგულად სახელოვან გმირ ქაქუცასთან რომლის ხმალმა კვლავ ლამაზი ფურცლები ჩასწერა საქართველოს ისტორიაში.

რამდენ ბრძოლებში მიგიღია მონაწილეობა, რამდენჯერ ყოფილხარ სიკვდილის წინაშე, რამდენი საფრთხე გადაგიტანია და რა მწარე დაცინვაა ბედისა, რომ სიკვდილი ჰპოვე ავტომობილის უბრალო უბედურ შემთხვევაში! შეფიცულთა ოჯახმა და მასთან ერთად ჩვენ ყველამ დავკარგეთ საუკეთესო მებრძოლი მამულიშვილი.

ძვირფასო სერგო, ჩვენ თ. გიორგელნი, განსაკუთრებით ვგლოვობთ შენს დაკარგვას, რადგან შენ იყავი დიდი მეგობარი ჩვენი მოძრაობისა.

ა. გ.

ლ. ზარიძე, გ. ასადიშვილი, კ. ვაშაძე და ყველა თ. გიორგელები მადლობას უცხადებს იმ ქართველ მამულიშვილთ ვინც ამა თუ იმ სახით მონაწილეობა მიიღეს გარდაცვალებული თედო ზარიძის შესაფერი პატივით დასაფლავებაში.

ამა წლის მაისში ბ-ნ შათირიშვილმა წაიკითხა მოხსენება ფაშიზმზე. თუ ითქმის რომ მან ფაშისტური ლიტერატურა წაიკითხა, სამაგიეროდ უნდა აღვნიშნოთ რომ მსოფლიო ფაშისტურმოძრაობის სულს სრულიად ვერ ჩასწვდა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღეს უკვე დიდი ნაწილი საზოგადოებისა ფაშიზმს მხარს უჭერს. დემოკრატიულ პრინციპებს კი აღარ აღმოუჩნდნენ დამცველნი.

საწევრო გადასახადები და შემოწირულებანი გთხოვთ გადმოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

**M. Mathé Keresselidzé**

160, rue St-Charles. Paris (15).

La Gérante : M-me V-ve *Posteaux*.

Société anonyme imprimerie de Navarre,
5, rue des Gobelins - Paris (13).

ეროვნული ბიბლიოთეკა